

1924 წლის აჯანყების მე-100 წლისთავისთვის. ანტისაბჭოთა მოძრაობა აფხაზეთში (1921-1924)

FOR THE 100TH ANNIVERSARY OF THE 1924 UPRISING. ANTI-SOVIET MOVEMENT IN ABKHAZIA (1921-1924)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო
საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია

SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
SOKHUMI STATE UNIVERSITY
ABKHAZIAN ORGANISATION OF EKVTIME TAKAISHVILI GEORGIAN
HISTORICAL SOCIETY

თბილისი
Tbilisi
2024

სარედაქციო საბჭო: **ჯემალ გამახარია** (რედაქტორი), **დავით ჯალაღონია, ზურაბ პაპასქირი, ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა, ნანა კვარაცხელია**

მთარგმნელი – **ქეთევან ჩიგოგიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ლევან თითმერია**
კომპიუტერული მომსახურება – **დინარა დარსალია**

Editorial board: **Jemal Gamakharia** (editor), **Davit Jalaghonia, Zurab Papaskiri, Lia khaladze, Bezhan Khorava, Kakha Kvashilava, Nana Kvaratskhelia**

Translator – **Ketevan Chigogidze**
Technical editor – **Levan Thitmeria**
Computer services – **Dinara Darsalia**

გამომცემლობა „**საარი**“
Edition „**SAARI**“
ISBN 978-9941-509-60-5

1924 წლის აჯანყების მე-100 წლისთავისთვის.
ანტისაბჭოთა
მოძრაობა აფხაზეთში
(1921-1924)

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები
(2024 წლის 23 სექტემბერი)

FOR THE 100TH ANNIVERSARY
OF THE 1924 UPRISING.
ANTI-SOVIET MOVEMENT IN ABKHAZIA
(1921-1924)

Materials of the Scientific-Practical Conference
(September 23, 2024)

სარჩევი

რედაქტორისაგან **5-10**

ჯემალ გამახარია
ვასილ ღურჯუა – 1924 წლის აჯანყების გმირი **11-35**

ბეჟან ხორავა
1924 წლის აგვისტოს აჯანყება აფხაზეთში **36-76**

Table of contents

From the editor **5-10**

Jemal Gamakharia
Vasil Ghurjua – the Hero of the 1924 uprising **11-35**

Bezhan Khorava
Uprising of August 1924 in Abkhazia **36-76**

რედაქტორისაგან

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ინიციატივით 2024 წლის 23 სექტემბერს გაიმართა ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „1924 წლის აჯანყების მე-100 წლისთავისთვის. ანტისაბჭოთა მოძრაობა აფხაზეთში (1921-1924)". კონფერენციის თავმჯდომარეობა დაევალა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერს, პროფესორ დავით ჯალაღონიას. კონფერენცია გაიხსნა ამ სტრიქონების ავტორის მისასალმებელი სიტყვით. მან მადლობა გადაუხადა დეპუტატებს, უნივერსიტეტის პროფესორებს, სტუმრებს; ისაუბრა 1924 წელს საქართველოს განთავისუფლების მიზნით ოკუპანტების წინააღმდეგ ქართველებისა და აფხაზების ერთობლივი ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობაზე, აჯანყების აქტიური მონაწილეებისთვის, განსაკუთრებით ბრძოლაში დაცემული გმირებისთვის სათანადო პატივის მიგების აუცილებლობაზე. მანვე წარმოადგინა პირველი მოხსენება თემაზე „ვასილ ღურჯუა – 1924 წლის აჯანყების გმირი".

მოხსენებაში ნაჩვენებია ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ეთნიკური აფხაზის ვასილ ღურჯუას დამსახურება და როლი 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა მოძრაობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე. საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში დაცულ დოკუმენტებზე და სხვა მასალებზე დაყრდნობით მოკლედ გაშუქდა მისი ბიოგრაფია, რევოლუციური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა 1902-1917 წლებში. მოხსენებაში ასევე მოკლედ არის მიმოხილული აფხაზეთში 1917-1921 წლებში განვითარებულ ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურ პროცესებში და სამხედრო დაპირისპირებებში ვასილ ღურჯუას აქტიური მონაწილეობა; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 1921-1924 წლებში მის შეურიგებელ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა კი მიზნად ისახავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ავტონომიური ერთეულის – აფხაზეთის განთავისუფლებას რუსულ-საბჭოური ოკუპაციისაგან.

უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ. ვასილ ღურჯუა საბჭოთა ხელისუფლების სადამსჯელო ორგანოებმა შეიპყრეს; ე. წ. საგანგებო სამეულმა, სხვა ქართველ და აფხაზ მამულიშვილებთან ერთად, მას დახვრეტა მიუსაჯა. 1924 წლის 19 სექტემბერს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

ვრცელი მოხსენება თემაზე – „1924 წლის აჯანყება აფხაზეთში" წარმოადგინა პროფესორმა ბეჟან ხორავამ. მომხსენებელმა ისაუბრა აჯანყების მიზნებზე და ისტორიულ მნიშვნელობაზე. მრავალფეროვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გაშუქდა ისეთი საკითხები, როგორიცაა აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომი პირველი საპროტესტო გამოსვლები, კოდორის (ოჩამჩირის) აჯანყება, ანტისაბჭოთა დაჯგუფებები აფხაზეთში, 1924 წლის აჯანყებისთვის მზადება, 1924 წლის აგვისტოს გამოსვლები აფხაზეთის ცალკეულ რეგიონებში, აჯანყების დამარცხების შემდეგ განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, რეპრესიები აფხაზი თავადაზნაურობის წინააღმდეგ და ა. შ. მოხსენებაში წარმოჩენილია 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე ათობით თავდადებული ქართველისა და აფხაზის გმირული სახეები, ნაჩვენებია მათი ერთობლივი ბრძოლა რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ძირითადი მოხსენებების მოსმენის შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი საბჭოს წევრებმა და სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის, პროფესორ ზურაბ პაპასქირის გამოსვლა. მან მოკლედ მიმოიხილა და მაღალი შეფასება მისცა წარმოდგენილ მოხსენებებს, რომლებიც, მისი აზრით, ბევრ სიახლეს შეიცავენ; ხაზი გაუსვა მოხსენებათა ავტორების მაღალ კომპეტენციას ისტორიულ წყაროებზე მუშაობის თვალსაზრისით. ზურაბ პაპასქირს მიაჩნია, რომ აუცილებელია წარმოდგენილი მოხსენებების გამოქვეყნება, რათა კვლევის შედეგებს გაეცნონ ჩვენი ოპონენტებიც; ისტორიული მასალა, რომელიც მომხსენებლებმა წარმოგვიდგინეს, პროპაგანდისტულ საქმიანობაში უნდა იყოს გამოყენებული. მან ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ მოხსენებაში მოტანილ დოკუმენტზე – საგანგებო სამეულის, ე.წ. ტროიკას ოქმზე. ამ დოკუმენტით იმსხვრევა აფხაზი ისტორიკოსის

სტანისლავ ლაკობას მიერ დამკვიდრებული მითი ნესტორ ლაკობას შესახებ, რომ ის ვითომ არასოდეს ყოფილა ჯალათი. როგორც დავინახეთ, ნესტორ ლაკობაც ისეთივე ჯალათი ყოფილა, როგორებიც იყვნენ სხვა კომუნისტებიც, განურჩევლად მათი ეროვნებისა, – განაცხადა ზურაბ პაპასქირმა.

1924 წლის მოვლენების შეფასებისას მან აღნიშნა, რომ აჯანყებას ნაღები ქართული ინტელიგენცია შეეწირა. დიდი ზიანი მიადგა ასევე აფხაზებსაც მათი თავადაზნაურობის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების შედეგად. კომუნისტებმა ორივე მხარეს გაანადგურეს ადამიანები, რომლებიც ისტორიულად წარმოადგენდნენ ერთგვარ ხიდს ქართველებსა და აფხაზებს შორის. მომავალში ეს გაუადვილებს მოსკოვს ორ მოძმე ხალხს შორის ჯერ კიდევ მეფის რუსეთის მიერ ჩამოგდებული შუღლის კიდევ უფრო გაღრმავებას, ასიმილაციის პოლიტიკის გატარებას. მართალია, ეს პროცესი ჩვენ, ქართველებს, ნაკლებად შეგვეხო, მაგრამ კრემლმა მოახერხა აფხაზთა, თუ ასე შეიძლება ითქვას, გასაბჭოება, ისტორიული ფესვებისაგან მათი მოწყვეტა. ამაში ხედავს ზურაბ პაპასქირი აფხაზთა და ქართველთა დაპირისპირების ერთ-ერთ მიზეზს. ჩვენ არ გვქონდა და არც არასოდეს გვექნებოდა დაპირისპირება ლორიკ და ადა მარშანიების იდეოლოგიის მატარებელ აფხაზებთან, არ გვექნებოდა პრობლემები გიორგი შარვაშიძისა და ვასილ ღურჯუას მიმდევრებთან. აფხაზებთან ჩვენი მომავალი მშვიდობიანი თანაცხოვრება სწორედ ამ ადამიანების იდეებს უნდა დაეფუძნოს, – მიაჩნია ზურაბ პაპასქირს. დასასრულს, მან წამოაყენა წინადადება 1924 წლის აჯანყების მთავარი ორგანიზატორის – ვალიკო ჯუღელის, ასევე არზაყან ემუხვარის საქართველოს ეროვნული გმირის წოდებაზე წარდგენის შესახებ.

FROM THE EDITOR

On the initiative of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia, Sokhumi State University and the Abkhazian organisation of Ekvtime Takaishvili georgian historical society, on September 23, 2024, was held a joint scientific-practical conference on the topic of: „For the 100th anniversary of the 1924 uprising. Anti-Soviet movement in Abkhazia (1921-1924)“. The chairmanship of the conference was assigned to the chancellor of the Sokhumi State University, Professor Davit Jalaghonia. The conference was opened with a welcome speech by the author of these lines. He thanked the deputies, university professors, guests; spoke about the historical significance of the joint struggle of Georgians and Abkhazians against the occupiers in 1924 for the liberation of Georgia, on the obligation of paying the due respect to the active participants of the uprising, especially the heroes who fell in the battle. He also presented the first report on the topic „Vasil Ghurjua – the Hero of the 1924 uprising“.

The report shows the merits and role of the famous political and statesman, ethnic Abkhazian Vasil Ghurjua, in the anti-Soviet movement of 1921-1924 being held on the territory of Abkhazia. His biography, revolutionary and public activities in 1902-1917 were briefly covered based on the documents and other materials kept in the archive of the State Security Committee of Soviet Georgia. The report also briefly reviews the active participation of Vasil Ghurjua in the historical political processes and military confrontations that developed in Abkhazia in 1917-1921; Special attention was paid to his irreconcilable struggle against the Soviet Government in 1921-1924. This struggle was aimed at the liberation of the Democratic Republic of Georgia, including the autonomous unit of Georgia – Abkhazia, from the Russian-Soviet occupation.

The rebels were defeated in an unequal battle. Vasil Ghurjua was captured by the punitive bodies of the Soviet government; the so-called Special trio (Troika), along with the other Georgian and Abkhazian patriots, sentenced him to be shot. On September 19, 1924, the verdict was carried out.

Professor Bezhan Khorava presented an extensive report on the topic – „The Uprising of 1924 in Abkhazia“. The speaker talked about the goals and historical significance of the uprising. Based on various historical sources, such issues as the first protests after the occupation of Abkhazia, Kodori (Ochamchire) uprising, Anti-Soviet groups in Abkhazia, preparations for the 1924 uprising, addresses made in August 1924 in certain regions of Abkhazia, tragic events that developed after the defeat of the rebellion, repressions against the Abkhaz nobility, etc. The report presents the heroic faces of dozens of dedicated Georgians and Abkhazians who participated in the 1924 uprising, and shows their joint struggle against the Russian occupants.

After listening to the main reports, members of the Supreme Council and professors of Sokhumi State University took part in the discussion. The speech of Professor Zurab Papaskiri, chairman of Abkhazian organisation of Ekvtime Takaishvili georgian historical society should be specially mentioned. He briefly reviewed and gave high praise to the presented reports, which, in his opinion, contain many innovations; He emphasized the high competence of the authors of the reports in terms of working on historical sources. Zurab Papaskiri believes that it is necessary to publish the presented reports so that our opponents can get to know the results of the research; The historical material presented by the speakers should be used in the propaganda activities. He drew attention to the document brought in one of the reports – the so-called Special trio – the Troika protocol. This document shatters the myth about Nestor Lakoba established and popularized by the Abkhazian historian Stanislav Lakoba, that he was never an executioner. As we have seen, Nestor Lakoba was the same executioner as other communists, regardless of their nationality, – said Zurab Papaskiri.

While evaluating the events of the year of 1924, he noted that the outstanding intelligentsia of Georgia was sacrificed for the uprising and suffered the most. Abkhazians also payed the price, as a result of the repressions having been held against their nobility. Communists destroyed those people on the both sides, who historically represented

a kind of bridge between Georgians and Abkhazians. In the future, this will make easier for Moscow to further deepen the feud between the two brotherly peoples, which had already been triggered by the Tsarist Russia and pursue the policy of assimilation. It is true that this process did not affect us, the Georgians, but the Kremlin managed to Sovietize the Abkhazians, so to speak, and cut them off from their historical roots. Zurab Papaskiri sees this as one of the reasons for the confrontation between Abkhazians and Georgians. We did not have and would never have a confrontation with the Abkhazians sharing the ideology of Lorik and Ada Marchania, we would not have problems with the followers of Giorgi Sharvashidze and Vasil Ghurjua. Zurab Papaskiri believes, that future peaceful coexistence with the Abkhazians should be based on the ideas of these people. At the end, he put forward a proposal to recommend the main organizer of the 1924 uprising – Valiko Dzhugeli, as well as Arzakan Emukhvari for the title of the National Hero of Georgia.

ჯემალ გამახარია - ისტორიის დოქტორი

ვასილ ღურჯუა – 1924 წლის აჯანყების გმირი

1924 წლის აჯანყების თავდადებულ გმირებს შორის, სამწუხაროდ, იშვიათად მოიხსენიება თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ეთნიკური აფხაზი ვასილ ღურჯუა. 1919-1921 წლებში ის გახლდათ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, შესაბამისად, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე; იმავე წლებში ვასილ ღურჯუა იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრიც, შესაბამისად, საბჭოს მიერ 1919 წლის 20 მარტს მიღებული დოკუმენტის – „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ ერთ-ერთი შემოქმედი. აღნიშნული აქტის მიხედვით, აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ერთეულად გამოცხადდა (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 435). 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ ვასილ ღურჯუა იატაკქვეშეთში გადავიდა და თანამოაზრეებთან ერთად დაიწყო ბრძოლა საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში გაბატონებული ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.

პოლიტიკურ და მეცნიერულ ლიტერატურაში ათწლეულების განმავლობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა 1924 წლის აჯანყებაში აფხაზეთისა და განსაკუთრებით ეთნიკური აფხაზების მონაწილეობის თემას. საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა მცდარი მოსაზრების დამკვიდრებას იმის შესახებ, რომ აჯანყების მამოძრავებელ ძალას მხოლოდ ქართველები წარმოადგენდნენ, აფხაზეთს კი, გარდა სამურზაყანოსი, თითქოს მასში მონაწილეობა არ მიუღია (История Абхазской АССР. 1917-1937. Сухуми, 1983, с.118-121). 1924 წლის 5 სექტემბერს თბილისის საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას ამიერკავკასიის პარტიულმა ხელმძღვანელმა სერგო ორჯონიკიძემ საქებარი სიტყვებით შეამკო „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“, რომელმაც მხარი არ დაუჭირა „მენშევიკურ ავანტიურას“, უფრო მეტიც, მან ჩამოაყალიბა საკუთარი შეიარაღებული რაზმები ზუგდიდის დასახმარებლად (Орджоникидзе Г. К. Статьи и речи, т. 2. М., 1956,

c. 354). საკავშირო კომუნისტური პარტიის 1924 წლის 25-27 ოქტომბრის პლენუმზე სერგო ორჯონიკიძემ პოლიტბიუროს მიერ შექმნილი საქართველოში აჯანყების მიზეზების შემსწავლელი სპეციალური კომისიის სახელით გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა: „ჩვენმა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქებმა (აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და არაქართველი მოსახლეობის რაიონებში არ ისარგებლეს აჯანყებით სეპარატისტული მიზნებისთვის“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 19 თებერვალი. პლენუმის ოქმების პუბლიკაცია ზვიად გამსახურდიას წინასიტყვაობით). აღნიშნული განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს. აფხაზეთის მოსახლეობამ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ავტონომიური აფხაზეთის აღდგენისთვის რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ გამართულ საერთო სახალხო ბრძოლაში, რომელსაც ქართველებთან ერთად არაერთი ეთნიკური აფხაზიც შეეწირა (იხ.: Бежан Хорава. Из истории борьбы против советской власти в Абхазии. 1921-1931гг.- file:///C:/Users/User/Downloads/14%20(1).pdf; ლევან ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი. თბილისი, 2012, გვ. 121-128, 192, 213-214, 318). მათ შორის გამორჩეული ადგილი ვასილ ღურჯუას უჭირავს.

წარმოდგენილი მოხსენების მიზანია აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის ვასილ ღურჯუას 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის, აგრეთვე იმავე წლის სექტემბერში მისი მოწამებრივი აღსასრულის გაშუქება ადრე უცნობი ისტორიული წყაროების გამოყენებით. შესაბამისი დოკუმენტური მასალა დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის სისხლის სამართლის საქმეთა ფონდში (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581). სამწუხაროდ, ვასილ ღურჯუას ცხოვრება და და მოღვაწეობა, განსაკუთრებით მისი როლი ანტისაბჭოთა მოძრაობაში ისტორიულ ლიტერატურაში სათანადოდ შესწავლილი არ არის. ვ. ღურჯუას, როგორც „ხალხის მტრის“, „პოლიტბანდიტის“ სახელი თითქოს ამოშალეს ისტორიის ფურცლებიდან. საბედნიეროდ, ამა თუ იმ პიროვნების ადგილს ისტორიაში მაინც თავად ისტორია განსაზღვრავს, რომელიც პირუთვნელია. ასე მოხდა ვასილ ღურჯუასთან დაკავშირებითაც.

კომუნისტური უკუნეთის დამლევს, უფრო კონკრეტულად, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე და შემდგომ პერიოდში

განხორციელდა პუბლიკაციები, რომლებშიც პირველად გამოჩნდა ცალკეული მონაცემები ვასილ ღურჯუას პიროვნების, დამფუძნებელ კრებაში და განსაკუთრებით აფხაზეთის სახალხო საბჭოში მისი მოღვაწეობის შესახებ (ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი, 1991; Джемал Гамахария. Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები. თბ., 2000; Очерки из истории Грузии. Абхазия. Тб., 2009; А. Ментешашвили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998; დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო. თბ., 2006; ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II. თბ., 2007; Зураб Папаскири. Абхазия. История без фальсификации. Тб., 2009; აფხაზეთი საქართველოა. ისტორიული რაკურსი. თბ., 2021 და სხვ.). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები ვასილ ღურჯუაზე საკმაოდ მწირია. საქართველოს დამფუძნებელი კრების – პარლამენტის მასალებში დაცული მონაცემების მიხედვით, ის დაიბადა 1882 წლის 15 ნოემბერს (ცენტრალური ისტორიული არქივი (ცია), ფ. 1836, ანაწ. 1, ს. 107, ფ. 112) სოხუმის ოკრუგის კოდორის (ოჩამჩირის) უბნის ტამიშის თემის სოფელ კინდღში გიორგი ღურჯუასა და ადიხან ქარჩავას ოჯახში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვასილ ღურჯუას მშობლიური ტამიშის თემი, მათ შორის სოფელი კინდღი, სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით და აფხაზეთში მაშინ არსებული პირობების გათვალისწინებით, საკმაოდ განვითარებული დასახლება იყო. 1868 წლის მონაცემებით, ტამიშის თემში 1277 ადამიანი ცხოვრობდა, აქედან კინდღში – 483. თემის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქრისტიანები იყვნენ – 1149 ადამიანი, მათ შორის კინდღში – 461. შესაბამისად, მუჰაჯირობის ტრაგედია ტამიშის თემს, განსაკუთრებით სოფელ კინდღს ნაკლებად შეეხო (ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 940, 993-994; ბეჟან ხორავა. აფხაზთა მუჰაჯირობა. თბ., 2004, გვ. 80). ქრისტიანობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა ცნობილი მისიონერის, არქიმანდრიტ (შემდგომში სამეგრელოს ეპისკოპოს) ანტონ დადიანის ძალისხმევით

ჯერ კიდევ 1839 წელს ტამიშში გახსნილი წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. 1868 წლისთვის აქ საეკლესიო-სამრევლო სკოლაც გაიხსნა, რომელიც იმჟამად ერთადერთი იყო მთელს კოდორის მაზრაში (ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.944).

ვასილ ღურჯუამ, დიდი ალბათობით, დაწყებითი განათლება ტამიშის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში მიიღო. დანამდვილებით ცნობილია, რომ 1902 წელს მან ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაამთავრა (სკოლაში ჩარიცხული უნდა იყოს 1899 წლის ოქტომბერში) და აგრონომის სპეციალობას დაეუფლა. ქუთაისის ცენტრალური არქივიდან (ქცა) მისი დირექტორის, ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსის მერაბ კეზევაძის მიერ მოწოდებული დოკუმენტების (ამისათვის უღრმესი მადლობა ბ-ნ მერაბს) მიხედვით, პირველი თანრიგის ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა 1892 წლის 6 ივლისს გაიხსნა. სკოლის მზრუნველი (დირექტორი) გახლდათ დავით ბაქრაძე, მმართველი – ალექსანდრე შარაშიძე (ქცა, ფ. 82, ანაწ. 1, ს. 10, ფ. 43). სამი წლის განმავლობაში ვასილ ღურჯუამ მიიღო საფუძვლიანი ზოგადი და სპეციალური განათლება. ამაზე მიუთითებს სასწავლო საგნების ჩამონათვალიც: სჯულის კანონი, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, გეომეტრია მიწის აზომვითა და ხაზვით, კანონთმცოდნეობა, ქიმია მინერალოგიით, ფიზიკა მეტეოროლოგიით, ზოოლოგია, ბოტანიკა, მიწათმოქმედება მეურნეობის ორგანიზაციით, მევენახეობა, მეღვინეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეთამბაქოება, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრუშუმეობა, მეფრინველეობა (ქცა, ფ. 82, ანაწ. 1, ს. 11, ფ. 25). ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მოსწავლის შენახვა და სწავლება იყო ფასიანი. სკოლის საერთო საკასო წიგნიდან ირკვევა, რომ ვასილ ღურჯუამ 1900 წლის იანვარში გადაიხადა ხუთმანეთიანი გირაო, საწინდარი («залоговых»); 1900/1901 სასწავლო წლის პირველ და მეორე ნახევარში მას გადახდილი აქვს 30-30 რუბლი. როგორც ჩანს, სწავლის ქირის გადახდისას ვასილი გარკვეული შეღავათებით სარგებლობდა. საქმე იმაშია, რომ მისმა ქართველმა თანაკლასელებმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იმავე პერიოდში – 1900/1901 სასწავლო წლის პირველ და მეორე ნახევარში 60-60 რუბლი ანუ ორჯერ მეტი თანხა გადაიხადეს (ქცა, ფ. 82, ანაწ. 1, ს. 3, ფ. 1, 27, 44).

ღურჯუების ოჯახმა შემოინახა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო

სკოლის 1902 წლის გამოშვების სურათიც, რომელზეც 20 წლის ვასილიც არის აღბეჭდილი. გამოშვების სურათი აქვე ქვეყნდება. იმავე 1902 წლიდან ვასილ ღურჯუა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრია.

სწავლის დასრულების შემდეგ ვასილი აფხაზეთში დაბრუნდა. აქტიურად მონაწილეობდა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, 1904 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენელია აფხაზეთში. 1905 წელს რუსეთში დაწყებული დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში სოხუმში მიმდინარე ანტისამთავრობო გამოსვლების ერთ-ერთი ლიდერია, რისთვისაც 1905 წლის 27 დეკემბერს დააპატიმრეს და სოხუმის ციხეში გამოამწყვდიეს. მასთან ერთად იმავე დღეს, 27 დეკემბერს, დააპატიმრეს სერგო ორჯონიკიძე, რომელიც მაშინ აფხაზეთში (გუდაუთაში) ფერშლად მსახურობდა, ასევე იასონ გიგიბერია, ვასილ კონჯარია და პეტრე კვარაცხელია. გარდა ამ ადამიანებისა, ვასილ ღურჯუასთან ერთად სოხუმის ციხეში სასჯელს იხდიდნენ 1906 წლის 21 იანვარს დაპატიმრებული არზაყან ემუხვარი, 1906 წლის 26 თებერვალს დაპატიმრებული თედო სახოკია და აფხაზეთში ცნობილი სხვა რევოლუციონერები – რაჟდენ კიღურაძე, ბორის ზახაროვი და ლევან გოთოშია. 1906 წლის 1 ივნისის მონაცემებით, სოხუმის ციხეში მხოლოდ სამი პოლიტპატიმარი რჩებოდა – ვასილ ღურჯუა, სერგო ორჯონიკიძე და ლევან გოთოშია. იმავე წლის 17 ივნისის მონაცემებით, ვასილ ღურჯუა პოლიტპატიმრებს შორის უკვე არ ირიცხება (ცია, ფ. 83, ანაწ. 1, ს. 383, ფ. 36-38, 55-58, 61-62), მაგრამ ეს არ ნიშნავდა მის განთავისუფლებას. იმ პერიოდისთვის იწყება რევოლუციის დაღმავლობის, რეაქციის, რევოლუციონერთა დევნისა და სასტიკი რეპრესიების ხანა. ვასილ ღურჯუას საქმე თბილისის სასამართლო პალატას გადაეცა. პალატამ 1907 წელს მას ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. მოგვიანებით ვასილ ღურჯუა წერდა, რომ მთლიანობაში მან ციხეში 2.5 წელიწადი გაატარა (ცია, ფ. 1836, ანაწ. 1, ს. 107, ფ. 112). პირველი მსოფლიო ომის წლებში ვასილი სამხედრო სამსახურში არ გაუწვევიათ „როგორც აფხაზი“ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 94-95). იმავე წლებში მან ტამიშში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა საკრედიტო-შემნახველ ამხანაგობას (Ссудосберегательное Товарищество) და ყველანაირად ეხმარებო-

და თანასოფლელებს, კოდორის უბნის მოსახლეობას, რამაც ვასილ ღურჯუას პოპულარობა და ავტორიტეტი შესძინა.

რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ ვასილ ღურჯუა აქტიურად ებმება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში. არჩეული იყო კოდორის მაზრის გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად; როგორც ამ მაზრის წარმომადგენელი, მონაწილეობდა გლეხთა დეპუტატების ამიერკავკასიის სამხარეო ყრილობის მუშაობაში, რომელიც 1917 წლის 20-26 ივნისს თბილისში გაიმართა. იმავე წლის ნოემბერში სოხუმში მოწვეულმა აფხაზი ხალხის ყრილობამ იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანოს – აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრად აირჩია. რევოლუციური მოძრაობის წინაშე ვასილ ღურჯუას განსაკუთრებული დამსახურების აღიარება გახლდათ 1918 წლის თებერვლის დასაწყისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების VIII სამხარეო ყრილობაზე მისი არჩევა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის სეიმის (პარლამენტის) წევრად (ცია, ფ. 1836, ანაწ. 1, ს. 107, ფ. 112; გაზ. ერთობა, 1918, 6 თებერვალი). ვასილ ღურჯუა იყო ერთადერთი აფხაზი, რომელსაც ამიერკავკასიის რესპუბლიკის სეიმის წევრობის პატივი ერგო. კიდევ ერთი აფხაზი – ვლადიმერ ემუხვარი (განისვენებს ლევილის სასაფლაოზე საფრანგეთში) სეიმის წევრობის კანდიდატი გახდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918 წლის 26 მაისი) შემდეგ აფხაზთა სახალხო საბჭომ, რომელმაც სახელისუფლებო ფუნქციები შეიძინა, საქართველოს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად თბილისში სპეციალური დელეგაცია მიავლინა. დელეგაციის შემადგენლობაში ვასილ ღურჯუაც შედიოდა. მთავრობის წევრებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად 1918 წლის 11 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების ძალით, რომელსაც ხელს აწერდა ვასილ ღურჯუაც, აფხაზეთი ფაქტობრივად საქართველოს ავტონომიური ერთეული გახდა. ხელშეკრულების მე-7 პუნქტის მიხედვით, აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი საბოლოოდ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მიერ დემოკრატიული წესით მოწვეულ ყრილობას ანუ ადგილობრივ წარმომადგენლო-

ბით ორგანოს უნდა გადაეწყვიტა (Джемал Гамахария. Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 414, 748-753).

1918 წლის ივნის-აგვისტოში აფხაზეთში უკიდურესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ქართული სახალხო გვარდიის ნაწილებს, რომლებიც 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულების თანახმად აფხაზეთში იყვნენ დისლოცირებული, მოუხდა საბჭოთა რუსეთის, ასევე ოსმალეთის ექსპანსიის მოგერიება. აფხაზთა სახალხო საბჭოს სეპარატისტული ნაწილის ძალისხმევით, კოდორის მაზრაში მუჰაჯირთა შთამომავლებით დაკომპლექტებული და კარგად შეიარაღებული თურქული სამხედრო დესანტი შემოვიდა, რამაც დიდი სისხლისღვრა და ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკება გამოიწვია. თურქული დესანტის გადმოსხმა დროში დაემთხვა სოჭის მხრიდან აფხაზეთში შემოჭრილი რუსულ-ბოლშევიკური რაზმების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდს. ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული მეტად სახიფათო პროვოკაცია, რომელმაც სეპარატისტული ძალების გააქტიურებაც გამოიწვია. ამ კრიტიკულ ვითარებაში, როდესაც აფხაზეთში ქართულ სახალხო გვარდიას ორ ფრონტზე – რუსულ და თურქულ ძალებთან უხდებოდა ბრძოლა, კოდორის მაზრიდან არჩეულმა სახალხო საბჭოს წევრებმა ვასილ ღურჯუამ, დიმიტრი გულიამ და სხვებმა დიდი როლი ითამაშეს ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან აცილებაში და მშვიდობიანი გზით პროვოკაციის აღკვეთაში, აღელვებული აფხაზური მოსახლეობის დაშოშმინებაში. აღნიშნულ საკითხში ვ. ღურჯუას პრინციპული პოზიცია ეკავა. ის მკაცრად აკრიტიკებდა სახალხო საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც არ რეაგირებდნენ დესანტის გადმოსხმის ფაქტზე და საეჭვო პოზიცია ეჭირათ. სახალხო საბჭოს 1918 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე მან განაცხადა: „სახალხო საბჭო, რომელიც არ რეაგირებს თურქეთის დესანტის ნაპირზე გადმოსვლაზე, მოქმედებს მოღალატურად“. მისი აზრით, მედესანტეები მართლაც მუჰაჯირები თუ არიან, ისინი სოხუმში უნდა ჩამოვიდნენ, ხოლო თურქები თუ არიან – გაბრუნდნენ უკან. აფხაზთა სახალხო საბჭოს თურქები თუ ურჩევნია ქართველებს, ვუთხრათ ეს ქართველებს და ისინი წავლენ, სხვანაირად აქ დაიწყება საომარი მოქმედება და ჩვენი ქვეყნის მხოლოდ გეოგრაფიული სახელწოდება დარჩება (ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 68). ასეთი იყო

ვ. ღურჯუას ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი პოზიცია, რომელმაც საბოლოო ჯამში გაიმარჯვა. დესანტი კი თურქეთში დაბრუნდა.

რუსულ-ბოლშევიკური რაზმების აფხაზეთიდან განდევნისა და თურქული დესანტის ნეიტრალიზაციის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 1918 წლის შემოდგომაზე შეიქმნა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან მომდგარი თეთრგვარდიელი გენერლების მ. ალექსეევისა და ან. დენიკინის აფხაზეთში შემოჭრის საფრთხე. თეთრგვარდიელებს კავშირი ჰქონდათ სახალხო საბჭოში მოკალათებულ სეპარატისტებთან, რომლებმაც სცადეს საბჭოს პროქართული ორიენტაციის ხელმძღვანელობის ძალისმიერი გზით გადაყენება. სეპარატისტთა ავანტიურა ჩაიშალა. სახალხო საბჭოს წევრთა წინადადებით, საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 10 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება აფხაზთა სახალხო საბჭოს დათხოვნისა და „საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე“ ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. აფხაზეთში არჩევნების მომზადებისა და მისი ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, მთავრობამ იმავე გადაწყვეტილებით ჩამოაყალიბა ცენტრალური საარჩევნო კომისია ვარლამ შარვაშიძის, ისიდორე რამიშვილის, ვასილ ღურჯუას, ივანე ფაშალიდისა და გიორგი შანშიევის შემადგენლობით (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с.425).

საარჩევნო კომისიამ, რომელსაც ვარლამ შარვაშიძე თავმჯდომარეობდა, პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. 1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში ჩატარდა მის ისტორიაში პირველი საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციამ არზაყან ემუხვარის ხელმძღვანელობით. მანვე დაიკავა სახალხო საბჭოს, შემდგომში კომისარიატის – ისტორიაში აფხაზეთის პირველი მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა. ვასილ ღურჯუა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი გახდა. იმავდრულად ის არზაყან ემუხვარის მთავრობაში თამბაქოს განყოფილებას ხელმძღვანელობდა (ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 83). თამბაქო კი აფხაზეთის ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

1919 წლის 14-16 თებერვალს გამართულ საქართველოს დამფუძ-

ნებელი კრების არჩევნებშიც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი ვასილ ღურჯუა საქართველოს პირველი მოწვევის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების წევრიც გახდა. 1919 წლის 12 მარტს გაიმართა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა. უპირველეს ყოვლისა, მან 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი დაამტკიცა. სხდომის დასასრულს დამფუძნებელი კრების წევრებმა დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს. ცხადია, ამ ისტორიულ დოკუმენტზე ხელმომწერთა შორის არის ვასილ ღურჯუაც. სავსებით კანონზომიერად ის აღმოჩნდა იმ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დააფუძნეს.

აფხაზეთის სახალხო საბჭოში და დამფუძნებელი კრების სხდომებზე ვასილ ღურჯუა თანაბარი სიმტკიცით იცავდა როგორც საქართველოს უზენაეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ისე აფხაზეთის ავტონომიურ უფლებებს. 1919-1921 წლებში და შემდგომ პერიოდშიც, ტრაგიკულ აღსასრულამდე, ვასილ ღურჯუა დარჩა მისი აქტიური მონაწილეობით 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტის „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ ერთგული. მისი პირველი პუნქტი საქვეყნოდ იუწყებოდა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“ (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с.435).

ვასილ ღურჯუას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის მომზადებაში. სახელმწიფოსა და ავტონომიას შორის საკონსტიტუციო საკითხების მოგვარების მიზნით, როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, კოლეგებთან ერთად ორჯერ (1919 წლის ივლისი, 1920 წლის ნოემბერი) იყო ჩასული თბილისში, ჰქონდა შეხვედრები ნოე ჟორდანიასთან, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებთან (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, გვ. 98, 108, 777). ვასილ ღურჯუას პოლიტიკური ხედვა, მისი პოზიცია სახელმწიფოებრივი მოწყობის, ცენტრსა და ავტონომიას შორის უფ-

ლებამოსილების გამიჯვნის ზოგად პრინციპებზე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სიტყვაში, რომლითაც მან 1919 წლის 2 აგვისტოს მიმართა დამფუძნებელი კრების 45-ე სხდომას. იმ სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად აფხაზეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების მთავრობისადმი შეკითხვა იხილებოდა (შეკითხვის ინიციატორი იყო სოხუმელი ნიკო თავდგირიძე). მოგვაქვს ამონარიდი სტენოგრაფიული ანგარიშიდან:

„**თავმჯდომარე**. სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს გურჯუას.

გურჯუა (სოციალ-დემოკრატი, აფხაზი). ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო! სამწუხაროდ, რადგანაც ჩვენი აფხაზეთი მომუშავე პირებით ძალიან ღარიბია, ჩვენ მხოლოდ შემთხვევით შეგვიძლიან თქვენ მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობაში მონაწილეობის მიღება. ეხლა, როდესაც აფხაზეთის საბჭომ დროებით მუშაობა შესწყვიტა, გამოვეშურე აქეთ, რომ სამშობლოს უმაღლეს კანონმდებლობითი ორგანოს მუშაობას გავცნობოდი და ჩემი წვლილი შემეტანა...

ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან. და ჩვენ ამ რესპუბლიკაში გერებათ კი არ ვსთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად (ტაში). რამდენიც უნდა დაგვწამონ ცილი ბატონებმა თავდგირიძეებმა, ჩვენ სწორ გზიდან მაინც არ აგვაშორებენ. გზა კი არის შემდეგი: ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი ყოველ საქართველოს ნაწილისთვის (ტაში). აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ამ საქართველოისა, მხოლოდ თავის შინაურ საქმეში იქნება დამოუკიდებელი. ჩვენ მიერ გამომუშავებული კონსტიტუცია თქვენ უნდა მიიღოთ და მოიწონოთ. თქვენ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი კანონები ჩვენთვისაც იქნება სავალდებულო.

ჩვენ მეტს არაფერს არ ვთხოულობთ და ამის წინააღმდეგ საქართველოში ნამდვილი დემოკრატიის წარმომადგენლები არასოდეს არ იყვნენ და არც იქნებიან წინააღმდეგნი. ჩვენ ეს არაერთხელ გამოგვითქვამს.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს და მის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს დემოკრატიულად დარაზმულ ავტონომიურ აფხაზეთს, ამ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს (ტაში)“

(საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 2 აგვისტო, გვ. 16-17).

ამ სიტყვების ავტორი ვასილ ღურჯუა ჭეშმარიტი აფხაზი მამულიშვილია და ამასთანავე, როგორც თვითონაც ბრძანებს, არის საქართველოს ღვიძლი შვილი. აფხაზობა მასში ორგანულადაა შერწყმული ქართველობასთან; შესაბამისად, ის ვერ ხედავს გადაულახავ წინააღმდეგობას საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიის ინტერესებს შორის. უფრო მეტიც, თავის სიტყვაში ვასილ ღურჯუა იძლევა სახელმწიფოებრივი მოწყობის, ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობის ოპტიმალური მოდელის ზოგად ფორმულას, უთითებს იმ პერიოდში (და არა მხოლოდ იმ პერიოდში) თბილისისა და სოხუმის ინტერესების შეჯერებისა და დაკმაყოფილების სწორ და რეალურ გზას.

საქართველოს არ დასცალდა სწორი და რეალური გზით სიარული. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ, ქვეყნის ოკუპაციამ სრულიად საქართველოც და ავტონომიური აფხაზეთიც ააცილა იმ ბუნებრივი განვითარების გზას, რომლის შესახებაც ვასილ ღურჯუა დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარმოთქმულ თავის ისტორიულ სიტყვაში საუბრობდა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ოკუპაციას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის გაუქმება მოჰყვა. ქვეყანა სასტიკმა რეპრესიებმა მოიცვა. არზაყან ემუხვარი, მისი კაბინეტის წევრი, შინაგან საქმეთა კომისარი მიხეილ უბირია და სხვები იძულებით ემიგრაციაში წავიდნენ. ვასილ ღურჯუამ მათ მაგალითს არ მიბაძა, აფხაზეთში დარჩა და იატაკქვეშეთიდან გააგრძელა ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ამის შესახებ მოგვითხრობს შსს არქივში სისხლის სამართლის საქმეთა ფონდში დაცული საქმე სახელწოდებით: „პოლიტიკური ბანდიტის ვასილ ღურჯუასა და მისი ხელის დამფარებლების ბრალდების შესახებ“ – «Дело по обвинению полит. бандита Василия Гурджуа и его укрывателей» (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581). როგორც ამ საქმის მასალებიდან ირკვევა, აფხაზეთის სოვეტიზაციის განხორციელებისთანავე, ახლმა ხელისუფლებამ პირველ რიგში „პოლიტბანდიტი“ ვასილ ღურჯუა დააპატიმრა. 15 დღე ის ოჩამჩირეში ჰყავდათ გამომწყვდეული, შემდეგ სოხუმში გადმოიყვანეს, სადაც კიდევ 3.5 თვე პატიმრობაში გაატარა. განთავისუფლების შემდეგ ვასილ ღურჯუა

სოფელ კინდღში დაბრუნდა, არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა და საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. კოდორის მაზრაში 1921 წელს დაპატიმრებების ახალი ტალღის დაწყების გამო, მან ჯერ სოხუმს, მერე კი ლათას შეაფარა თავი, სადაც 10 დღე იმყოფებოდა. ლათიდან მშობლიურ კინდღში დაბრუნდა, ტყეში ცხოვრობდა და მხოლოდ დაპატიმრებამდე 15 დღით ადრე სამკურნალოდ ბედიაში ჩამოვიდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არალეგალურ მდგომარეობაში რჩებოდა (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 106-108). ვასილ ღურჯუა იატაკქვეშეთიდან ახერხებდა კოდორისა და სამურზაყანოს მაზრებში არსებული წინააღმდეგობის მოძრაობისთვის ხელმძღვანელობის გაწევას. საბჭოთა ხელისუფლების სადამსჯელო ორგანოს – საგანგებო კომისიის (ჩეკა) მონაცემებით, ვასილი აფხაზეთში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელად იყო დანიშნული, თუმცა ამ ფაქტს თავად „დამნაშავე“ არ ადასტურებდა (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 106-108). დოკუმენტებიდან ასევე ირკვევა, რომ მას ჰქონდა კავშირი თბილისთან და ზუგდიდთან (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 82, 101-105).

აფხაზეთის ჩეკა ვასილ ღურჯუას ადანაშაულებდა სამურზაყანოს მაზრაში 1922 წლის მაისში „ბანდიტური აჯანყების მომზადებაში“ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ.14). იმავე წლის 4 ნოემბერს აფხაზეთის ჩეკას კოლეგიამ მოისმინა საქმე № 170 „კოდორის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ორგანიზაციაში“ ბრალდებული პირების შესახებ და მიიღო დადგენილება ვასილ ღურჯუაზე, ნოჩო და გიორგი მიქელაძეებზე, ნესტორ და მუშნი დადიანებზე ძებნის გამოცხადების შესახებ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 122). 1924 წლის 17 მარტს აფხაზეთის ჩეკას ხელმძღვანელობამ, იმის გათვალისწინებით, რომ ვასილ ღურჯუა „ამ დრომდე იმალება და აფხაზეთის ჩეკას მთელი ძალების გამოყენებითაც ვერ ხერხდება მისი ადგილსამყოფელის დადგენა“, მიიღო გადაწყვეტილება „დამნაშავეზე“ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ძებნის გამოცხადების შესახებ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 14).

ვინაიდან ვასილ ღურჯუას ვერ აკავებდნენ, რეპრესიების ტალღამ მისი ოჯახის წევრებზე და ნათესავებზე გადაიარა. მათგან მუდმივად მოითხოვდნენ ძებნილის ადგილსაყოფელის შესახებ ინფორმაციის

მიწოდებას. 1923 წლის ზაფხულში დააპატიმრეს ვასილის მეუღლე – მარიამ პეტრეს ასული ჭყონია-ღურჯუა, უმცროსი ძმები – თაბაქი, სტეფანე და სპირიდონი, ასევე ღურჯუების ძუძუმტე ნიკოლოზ ბჟანია. ისინი მალე გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ 20 დღის ვადაში ვასილ ღურჯუას აფხაზეთის საგანგებო კომისიის განკარგულებაში გადასცემდნენ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 91-92). ვასილ ღურჯუას ოჯახის წევრებმა ჩეკას წინაშე აღებული „ვალდებულება“ არ შეასრულეს – არ გასცეს ვასილის ადგილსამოფელი. ეს გახდა 1923 წლის დეკემბერ – იანვარში მათი ხელმეორედ დაპატიმრების მიზეზი. შემორჩენილია დაპატიმრებულთა დაკითხვის ოქმები (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 19-22, 54-58, 60-63, 67-70, 83-86). გაკვირვებას და აღფრთოვანებას იწვევს ამ გაუნათლებელი ადამიანების, უბრალო გლეხების ღირსეული ქცევა. ადვოკატების ან გამოცდილი კონსულტანტების გარეშე და სხვადასხვა საკანში მყოფნი იძლეოდნენ ისეთ ლოგიკურად გამართულ ჩვენებებს, რომლებიც არ მოდიოდნენ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და რომლებსაც არც თუ ისე იშვიათად შეცდომაში შეჰყავდათ ჩეკას მუშაკები.

ფორმალური პროცედურების გავლის შემდეგ მარია ჭყონია, თაბაქ, სტეფანე და სპირიდონ ღურჯუები, ასევე ნიკოლოზ ბჟანია გაასამართლეს. ხუთივე „ბრალდებულს“ თითო წლით პატიმრობა მიესაჯა; მაგრამ „მათი გლეხური წარმოშობისა და დაბალი შეგნების“ გათვალისწინებით, სასჯელი ექვსი თვით შეუმცირეს და საქმეც შეწყვიტეს. აფხაზეთის ჩეკას კოლეგიის 1924 წლის 20 მარტის სხდომამ დაადგინა, რომ წაყენებული ბრალი „დამტკიცებულად ჩაითვალოს, მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში, რომ პოლიტდამნაშავე ვასილ ღურჯუას დასაკავებლად აუცილებელია მისი ნათესავების განთავისუფლება“, ისინი პატიმრობიდან განთავისუფლდნენ. დადგენილებაში ასევე ნათქვამია, რომ გამოძიება „გაგრძელდეს და ვასილ ღურჯუას მიმართ მიღებულ იქნეს სამძებრო და საპატიმრო ზომები“ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 93). ვასილ ღურჯუას ოჯახის წევრებმა, პირიქით, ყველაფერი გააკეთეს მის გადასარჩენად.

საქართველოს საოკუპაციო რეჟიმისთვის 1924 წლის დასაწყისიდან უკვე ცნობილი იყო, რომ მის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა. ჩეკისტები უსასტიკეს ზომებს ღებულობდნენ მის აღსაკვეთად, წინასწარ აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ

ეჭვმიტანილებს. 1924 წლის 6 აგვისტოს დააპატიმრეს საფრანგეთიდან დაბრუნებული ვალიკო ჯუღელი. აჯანყების დაწყებიდან (28 აგვისტო) ორ დღეში – 30 აგვისტოს ის თბილისში დახვრიტეს. გრძელდებოდა ნადირობა ვასილ ღურჯუაზეც, რომლის გარშემო წრე სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. 1924 წლის ივლისში ის სოფელ ბედიაში რეჯიბ აბაშიას ოჯახში იმყოფებოდა. იმავე წლის 1 აგვისტოს აჩიგვარის საპოლიციო საგუშაგოს უფროსმა, სრულიად შემთხვევით, ვასილ ღურჯუას მეკავშირეები და მეგზურები – ოჩამჩირელი პავლე ფაჩულია და კინდღელი კაჭი გოგია, მათი გაუფრთხილებლობის გამო, ბედიაში დააკავა. მათ აღიარეს, რომ ჩამოვიდნენ რეჯიბ აბაშიას სახლში, სადაც ვასილ ღურჯუა იმყოფებოდა. იმავე დღეს, 1924 წლის 1 აგვისტოს, დააკავეს ვასილიც და ოჯახის უფროსი რეჯიბ აბაშიაც. ამრიგად, ხანგრძლივი, სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იატაკქვეშა ბრძოლის შემდეგ ვასილ ღურჯუა სრულიად შემთხვევით ჩეკისტების ხელში აღმოჩნდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაპატიმრება მოხდა არა აჯანყების შემდეგ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 106), არამედ მის დაწყებამდე თითქმის ერთი თვით ადრე.

1924 წლის 2 აგვისტოს ვასილ ღურჯუა სამურზაყანოს საინფორმაციო პუნქტში (ჩეკას ადგილობრივი ორგანო) საქართველოს ჩეკას წარმომადგენელმა გურეშიძემ დაკითხა (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 106-108). მას თავი ღირსეულად ეჭირა, „დანაშაული“ არ უღიარებია და არც ერთი თანამოაზრე თუ თანამებრძოლი ან სხვა ადამიანი, ვისთანაც არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში ურთიერთობა ჰქონია, არ დაუსახელებია. შესაბამის შეკითხვებზე პასუხი იყო: „უარს ვამბობ დასახელებაზე“, „არავისთან კავშირი არ მქონია“, „არ ვიცი“ და ა. შ.

სამურზაყანოს საინფორმაციო პუნქტში 1924 წლის 3 და 6 აგვისტოს დაიკითხნენ რეჯიბ აბაშია, პავლე ფაჩულია და კაჭი გოგია (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 109-116, 128-129). მათი დაკითხვის ოქმები შეიცავენ ინფორმაციას ვასილ ღურჯუას კავშირებისა და მისი დაპატიმრების გარემოებების შესახებ. დაკითხვების შედეგად ჩეკისტებისთვის ცნობილი გახდა ვასილ ღურჯუას ზოგიერთი თანამოაზრისა და თანამებრძოლის ვინაობაც – მაქსიმე კორსანტია, არსენ ალანია,

ვანო მარღანია, სამსონ კვირაია, ბადღა მატკავა. მათ შორის ყველაზე „საშიშად“ მიჩნეული მაქსიმე კორსანტია ჩეკისტებმა მალევე დააპატიმრეს და ვასილ ღურჯუასთან ერთად გაასამართლეს. მასთან ერთად გაასამართლეს ასევე ბაბილო მარღანია. დიდი ალბათობით, ის იყო ვასილ ღურჯუას თანამებრძოლი ვანო მარღანია. ვასილის კიდევ ერთი თანამებრძოლი – არსენ მალანია 1924 წელს გადარჩა, მაგრამ 1937 წლის 10 ოქტომბერს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს (Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг., т. 1. 2017, с. 123).

დაპატიმრებული ვასილ ღურჯუა, აგრეთვე რეჯიბ აბაშია და კაჭი გოგია სოხუმში აფხაზეთის ჩეკას კომენდატურაში გადაიყვანეს (პ. ფაჩულია ავადმყოფობის გამო ოჩამჩირეში დატოვეს). 1924 წლის 14 აგვისტოს ვასილ ღურჯუამ აფხაზეთის ჩეკას თავმჯდომარეს ნ. ბახტაძეს განცხადებით მიმართა, რომლითაც ითხოვდა ექიმის მიერ დანიშნული წამლის გამოწერას, რომელიმე სამეცნიერო წიგნის წაკითხვის უფლებას და დაკავებისას სამურზაყანოს საინფორმაციო პუნქტში ჩამორთმეული ფულის დაბრუნებას (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ.97-98). 1924 წლის 24 და 27 აგვისტოს ვასილ ღურჯუას წაუყენეს ბრალდება „საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იატაკქვეშა მუშაობასა და პოლიტბანდიტიზმში“ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 136, 137). რ. აბაშიას და კ. გოგიას (ასევე პ. ფაჩულიას) ბრალად ედებოდათ ვ. ღურჯუას გადამალვა, მაგრამ 1924 წლის 9 სექტემბერს სამივე გაანთავისუფლეს მათი „სოციალური მდგომარეობისა და შეუგნებლობის“, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადრე მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 141).

შემორჩენილია უნიკალური დოკუმენტი – აფხაზეთის სსრ ე. წ. საგანგებო სამეულის 1924 წლის 15 და 17 სექტემბრის სხდომის ოქმი № 2. დოკუმენტი აქვე ქვეყნდება. საგანგებო სამეულის შემადგენლობაში შედიოდნენ აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარე ნ. ლაკობა[1], აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ნ. ბახტაძე და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი (პირველი) მდივანი ე.

1. მოსაზრება თითქოს სამეულის წევრი იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარი ნ. ლაკობა (ლევან ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 213) სინამდვილეს არ შეესაბამება. სამეულის შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა; მის ძმას – მიხეილ ლაკობას კი შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

ასრიბეკოვი. მათ წინაშე წარსდგა 13 „დამნაშავე“. სამეულის სხდომამ ცამეტივეს, მათ შორის ხუთ ეთნიკურ აფხაზს, სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა. დახვრეტა მიუსაჯეს: „მენშევიკურ-ბანდიტური აჯანყების ორგანიზაციაში“ ბრალდებულ ვასო ღურჯუას, ნოჩო მიქელაძესა და გიორგი ცინცაძეს, „როგორც აფხაზეთისა და საქართველოს სოვეტიზაციის პირველი დღიდან მიმალვაში მყოფ პოლიტბანდიტებს და ბანდიტური გამოსვლების მონაწილეებს“. ერმილე ანჩაბაძეს, ნარბეი მარშანიას, მაქსიმე კორსანტიასა და ბაბილო მარღანიას – „როგორც მენშევიკურ-ბანდიტური გამოსვლის აქტიურ მონაწილეებს“. ბესარიონ აფრასიძეს, კოკო დადეშქელიანს, სამსონ ჯანდილიანს, მიხა ასათიანს, ტარას ანჩაბაძესა და ნაჰარ ხუნტუას – საბჭოთა ხელისუფლების ღალატისთვის, გლეხთა მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევისთვის და ბანდიტიზმისთვის (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 145-146).

საგანგებო სამეულის 1924 წლის 15 და 17 სექტემბრის განაჩენის სისრულეში მოყვანა აფხაზეთის ჩეკას ევალებოდა. იმავე წლის 18 სექტემბერს მისმა თავმჯდომარემ ჩეკას კომენდანტს მისცა სრულიად საიდუმლო დავალება სამეულის №2 ოქმში მითითებული შვიდი მსჯავრდებულის, მათ შორის ვასილ ღურჯუას განაჩენის 18-19 სექტემბრის ღამეს სისრულეში მოყვანის შესახებ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 149, 150). 1924 წლის 19 სექტემბერს დილის 4 საათზე სოხუმის გარეუბანში, „შუქურას“ მიდამოებში განაჩენი სისრულეში მოიყვანა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აფხაზეთის საგანგებო კომისიის კომენდანტი უგორენკოვი, იმავე უწყების რწმუნებული პოდოსენოვი და სოხუმში დისლოცირებული რუსული დივიზიის მეთაური პოხვალინი. აღნიშნული კომისიის აქტში განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ ნათქვამია, რომ „დახვრეტილთა მხრიდან განცხადება და თხოვნები არ ყოფილა“ (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 150). 1924 წლის 23 სექტემბერს შედგა დახვრეტილთა, მათ შორის ვასილ ღურჯუას ნივთებისა და ძვირფასეულობების დამთვალიერებელი კომისიის ოქმი. ყველა ნივთი და ძვირფასეულობა კონფისკაციას დაექვემდებარა (შსს არქივი, ფ. 6, ს. 23581, ფ. 151).

ასე ტრაგიკულად შეწყდა გამორჩეული სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ვასილ ღურჯუას ცხოვრება. მისი ერთადერთი „დანაშაული“ იყო დამოუკიდებელი, სუვერენული ქართული სახელ-

მწიფოსა და ავტონომიური აფხაზეთის ერთგულება, რუსულ-საბ-ჭოური ოკუპაციის, ტერორისა და ერთპარტიული დიქტატის მიუ-ღებლობა. ვასილ ღურჯუამ სხვა თანამოაზრეებთან ერთად ღრმა კვალი დატოვა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიაში. დიადი იდეები და საქმეები, რომლებსაც ის შეეწირა, მხოლოდ ჩვენს სახელოვან საერთო წარსულს არ მიეკუთვნება, არამედ აქტუალურია დღემდე, აქტუალური იქნება მომავალშიც.

Vasil Ghurjua – the hero of the 1924 uprising

(summary)

Georgia, conquered by the Soviet Russia in February-March 1921, was not able to adapt to the terrorist regime imposed by the occupants, and namely to the loss of the State independence. This was the main reason for the 1924 uprising. All regions of Georgia took part in it and among them, the multi-ethnic population of Abkhazia, including ethnic Abkhazians. Nevertheless, for decades in the political and scientific literature, the opinion that Abkhazia and Abkhazians did not participate in the 1924 uprising had been methodically rooting and establishing. Even the more, they represented a reliable stronghold for the Soviet Government. But, a prominent political and State figure, a member of the Founding Assembly (Parliament) of Georgia in 1919-1921, and the People's Council of Autonomous Abkhazia in the same years – an ethnic Abkhazian Vasil Ghurjua (1882-1924), proves the complete opposite, as well as his numerous associates' dedicated struggle against the Russian-Bolshevik occupation regime.

After the establishment of the Soviet government, Vasil Gurjua went underground and led the resistance movement in Ochamchire and Gali districts. The punitive body of the Soviet government – the Special Commission (Cheka) used all measures to arrest him. Vasil Ghurjua was wanted all over the Soviet Union, but they were not able to arrest him. Only on August 1st 1924, completely by chance, due to the carelessness of the contacts, Vasil Ghurjua was arrested. Detention. On September 15 and 17 of the same year, under the chairmanship of Nestor Lakoba, the head of the Soviet Government of Abkhazia, a session of the extraordinary Troika was held, which sentenced 11 participants of the 1924 uprising – six Georgians and five Abkhazians – to be shot. Among them, Vasil Ghurjua, being accused in the organization of the „Menshevik-bandit rebellion", ". political bandit who has been in hiding since the first day of the Sovietization and a participant in bandit speeches", received the highest punishment. On September 19, the sentence was put into effect.

Vasil Ghurjua's heroic life ended tragically. His only „crime" was loyalty to the independent, sovereign Georgian State and Autonomous Abkhazia, non-acceptance of the Russian-Soviet occupation, terror and one-party dictatorship. Vasil Ghurjua and other associates left a deep mark in the history of the Georgian-Abkhazian relations. Their ideas and deeds represent not only our illustrious shared past, but also our present and especially the future we are intending to build together.

ფოტო მასალა

ვასილ ღურჯუა. 1902 წ.



ვასილ ღურჯუა. 1924 წ.

Б. Лобачка

97

Секретно
К делу №
14/III 24 г.

Арестованного
Василия Бурдюга

Заявление

1. Второй день после того, как меня осмотрели до сих пор никакого рецепта, ни какого-либо медицинского ничего не получено.

2. При отсутствии конкретного предмета на который мне бы сосредоточить свое внимание и тем отвлечь от невольного сосредоточения его на мою болезнь, создается полная остановка, усиливающая процесс

MIA ARCHIVE



ვასილ ღურჯუას განცხადება აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის სახელზე. **1924 წ**ლის 14 აგვისტო.

П Р О Т О К О Л №2.

Заседания Чрезвычайной Тройки ССР Абхазии от I5 и I7-го Сентября-24г.

в составе: Предсовнаркома тов.ЛАКОБА, Предабчека - тов.БАХТАДЗЕ и Секретаря Обкома тов. АСРИБЕКОВА.

145

С Л У Ш А Л И:	Н О С Т А Н О В И Л И.
I. Доклад тов.ШЛАТТЕРА о событиях в Цебельдинском районе и в связи с ними об арестованных сванах. Предварительно тов.ЛАКОБА информирует, что в числе пленных, задержанных тов.Шлаттером, задержан Предсельсовета сел.Ажары АПРОСИДЗЕ с приказом противника в кармане. Реввоенсоветом Абхазии был издан приказ, коим предписывалось т.ШЛАТТЕРУ расстрелять Предсельсовета АПРОСИДЗЕ совместно с десятью пленными сванами, задержанных одновременно. Согласно доклада т.ШЛАТТЕРА, сделанного тов.ЛАКОБЕ, приказ Реввоенсовета в части, касающейся расстрела АПРОСИДЗЕ с I0-тью пленными, не был им исполнен. Тов.ЛАКОБА просит тов.Шлаттера дать об"яснение причин неисполнения приказа. Тов.Шлаттер детально информирует Чрезвычайную Тройку о военных операциях в Цебельдинском районе, о количестве и действиях противника, а также о действиях наших отрядов. О причинах, вызвавших неисполнения приказа Реввоенсовета, докладывает следующее: после установления порядка в сел.Ажары, выборов Сельсовета, Начмилиции, Начпограноотряда он выехал оттуда, при чем вновь избранный Сельсовет Начмилиции и сельский сход просили в течение I0-ти дней в отношении арестованных АПРОСИДЗЕ и других сванов не предпринимать никаких мер, при чем они обязались в течение этого срока убить или доставить живыми Тенгиза и Коцию ДАДЕШКЕЛИАНИ. Тов. Шлаттер говорит, что не имея на это полномочий от Реввоенсовета он им ничего определенного не сказал, но вместе с тем он не счел возможным расстрелять арестованных	Факт измены Предсельсовета сел. Ажары АПРОСИДЗЕ Виссар. считать безусловно доказанным и, как изменника Соввласти и делу трудящихся, приговорить к высшей мере наказания - расстрелять. Арестованных ДАДЕШКЕЛИАНИ Коко и ДЖАНДИЛИАНИ Самсона, как неисправимых бандитов, нарушающих мирную жизнь трудового крестьянства, приговорить к высшей мере наказания - расстрелять. Остальных арестованных, по делу выступления сванов в Цебельдинском районе, считать административно задержанными. Дело следствием продолжать.

137. 136

в Цебельдинском районе, решив доставить таковых в Сухум, сделать доклад Чрезвычайной Тройке и в дальнейшем действовать согласно ее директив.

2. Доклад тов.КАВТАРАДЗЕ.
Списки арестованных, обвиняемых в организации меньшевистско-бандитско восстания.

3. Доклад тов.ИНАЛ-ИПА.
Списки арестованных, обвиняемых в ограблении мирных крестьян в ночь на 3-е Сентября и в организации меньшевистско-бандитского восстания.

146

2. Обвиняемых МИКЕЛАДЗЕ Ночо, ГУРДЖУА Васо и ЦИНЦАДЗЕ Георгия, как политбандитов, скрывавшихся с первого же дня Советизации Абхазии и Грузии и участников бандвыступления приговорить к высшей мере наказания - расстрелять.

3. Принимавших участие в ограблении мирных трудовых крестьян - делегатов схода, возвращавшихся из Очемчир в ночь на 3-е сентября с/г. Миха АСАТИАНИ, Тарасия АНЧАБАДЗЕ и Нахар ХУНТУА, как неисправимых бандитов, приговорить к высшей мере наказания - расстрелять.

Обвиняемых: Ермолая АНЧАБАДЗЕ, Нарбей МАРШАНИЯ Максима КОРСАНТИЯ и Бабило МАРГАНИЯ, как активных участников в вооруженного меньшевистско-бандитского выступления, приговорить к высшей мере наказания - расстрелять.

Приговор привести в исполнение чека Абхазии.

На всех остальных арестованных дело следствием продолжать.

ЧРЕЗВЫЧАЙНАЯ ТРОЙКА: /Лакоба/
/Бахтадзе/
/Асрибеков/

MIA ARCHIVE

აფხაზეთის საგანგებო სამეულის სხდომის **№2 ოქმი.**
1924 წლის 15 და 17 სექტემბერი.



КОПИЯ. Сов.-Секретно.

138

150

Акт

Мы ниже подписавшаяся комиссия в составе Председателя:Коменданта Абхазии тов. Угоренко и членов тов. Подосенова и Комдива 56 тов.Похвалина составили настоящий акт в 2-х экземплярах в том что в ночь с 18 на 19с сентября 1924 года в 4часа утра нами приведен в исполнение протокол Революционной Тройки за № 2 и предписание коменданту ЧК № 1682 и нижепоименованные лица расстреляны: 1/Апросидзе Виссарион 2/ Ладошкилиа Иокия Джанделиани Самсон 4/ Микеладзе Ночо 5/ Гурджуа Васо 6/ Цинцадзе Георгий 7/ Маршаний Чарбей и трупы их зарыты в землю на глубину 3 1/2 аршина.

Заявление со стороны расстрелянных и их родных не было.

г. Сухум. Приложение копия протокола № 2 и предписание № 1682.

19 Сентября 1924 года.

Председатель:Комендант Угоренков.

Члены: 1.Подосенов.

2. Похвалин.-

138

С подлинным верно:СТ.РЕГИСТРАТОР УРСО АБЧЕКА:

/ Постолов /

MIA ARCHIVE

მოხსენება განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ.
1924 წლის 19 სექტემბერი.

ბეჟან ხორავა – ისტორიის დოქტორი, პროფესორი

1924 წლის აგვისტოს აჯანყება აფხაზეთში

1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყება ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. საერთო-სახალხო აჯანყების მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. მიუხედავად დამარცხებისა, აჯანყებამ ცხადყო, რომ ქართველი ხალხი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არ ურიგდებოდა და თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის გვერდით აფხაზებიც იდგნენ.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველო დაიპყრო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 4 მარტს მე-9 წითელი არმიის ნაწილები სოხუმში შევიდნენ. რუსული ოკუპაციისა და მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში პირველივე დღეებიდან გაჩაღდა. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეორე დღეს, 1921 წლის 26 თებერვალს, საქართველოს რევკომის ბრძანებულებით „შიდა და გარეშე მტრებთან, კონტრევოლუციასთან, სპეკულაციასთან, საბოტაჟსა და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად“ შეიქმნა *საგანგებო კომისია* (რუსული აბრევიატურით *ჩეკა*). მისი მთავარი მიზანი ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების აღკვეთა და პოლიტიკური ტერორი გახდა. საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ ძველი ბოლშევიკი გიორგი ელისაბედაშვილი დაინიშნა (მოამბე, 1921: 7). მოგვიანებით, 1922 წლის 11 ნოემბერს საგანგებო კომისიას სათავეში ეპიფანე კვანტალიანი ჩაუდგა (მოამბე, 1922: 10).

1921 წლის მარტის ბოლოს სოხუმში შეიქმნა აფხაზეთის საგანგებო კომისია (***აფხაზჩეკა***), რომელიც იმავე წლის ბოლოდან საქართველოს საგანგებო კომისიის სტრუქტურული ერთეული გახდა. მის თავმჯდომარედ მიხეილ სოლოვიოვი დაინიშნა. იმავე წლის ივნისში მას სათავეში სევერიან კუხალეიშვილი ჩაუდგა (Борцы 1981: 50-51). პოლიტიკური რეპრესიები აფხაზეთში, მთელ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთში მიმდინარე სახელმწიფო ტერორის საერთო

პროცესის ნაწილს წარმოადგენდა. საქართველოს საგანგებო კომისიამ ადგილებზე, მაზრებში შექმნა ადგილობრივი ორგანოები, პოლიტბიუროები; დიდი ყურადღება მიექცა ინფორმაციის მიღებასა და სისტემატიზაციას. ამ მიზნით ცენტრში და ადგილებზე შეიქმნა საინფორმაციო პუნქტები (ენდელაძე, 2003: 30, 36).

პირველი საპროტესტო გამოსვლები. წითელი არმიის მიერ სოხუმის აღების მეორე დღეს, 5 მარტს, აქ დიდი საპროტესტო მიტინგი გაიმართა. ამ მიტინგის ფოტო შემორჩა, სხვა ინფორმაცია ჯერ-ჯერობით ხელმისაწვდომი არ არის (Хорава, 2022: 108). მიუხედავად ახალი ხელისუფლების წინააღმდეგობისა, 1921 წელს მთელ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, ფართოდ აღინიშნა 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე (Хорава, 2022: 108).

მომდევნო წელს ხელისუფლებამ 26 მაისთან დაკავშირებით უკვე პრევენციულ ზომებს მიმართა. 1922 წლის მაისის დასაწყისში მთელი საქართველოს მასშტაბით დაპატიმრებები დაიწყო (შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 22254; საბჭოთა, 2015: 325).

მიუხედავად რეპრესიებისა, 26 მაისი მაინც აღინიშნა, მათ შორის აფხაზეთში. პოლიტიკური პარტიების ცნობაში „დამოუკიდებლობის დღე საქართველოში“, ნათქვამია: „აფხაზეთში ყველგან გავრცელდა ფურცლები. ხალხში დიდი ჩოჩქოლი იყო. მოწინავენი ხალხს თავდაჭერილობისაკენ მოუწოდებდნენ“. „სოხუმში მრავალი დააპატიმრეს წინასწარ. მთელი კომუნისტური ლაშქარი ფეხზე დადგა. რუსის ჯარმა ხალხის წინააღმდეგ გამოსვლაზე უარი განაცხადა: „ჩვენ აქ არ უნდივართ და ხალხს არ გადავიკიდებთო“. „ოჩამჩირეში ბაზარი დაიკეტა. ეროვნული დროშები გამოკიდეს, ბევრი დააპატიმრეს“ (შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 22254, ფურც. 3; საბჭოთა, 2015: 335; კერესელიძე, 2012ბ: 84).

კოდორის აჯანყება. საქართველოს შსს არქივში დაცულია საქმე №170, სახელწოდებით „კონტრრევოლუციური ბანდის გამოსვლა კოდორის მაზრაში“. მასში შედის მასალები კოდორის მაზრაში ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადების შესახებ.

1922 წლის 12 მაისს აფხაზეთის ჩეკას კოდორის სამაზრო განყოფილებამ მიიღო ცნობა, რომ 26 მაისისთვის „ბანდიტების კონტრევოლუციური გამოსვლა“ იგეგმებოდა. დადგინდა, რომ ქ. ოჩამჩირეში მოქმედებდა არალეგალური ორგანიზაცია, რომლის წევრებიც

„მენშევიკისა და ბანდიტის“, ნოჩო მიქელაძის, კუთვნილ რესტორან „სამოთხეში“ იკრიბებოდნენ. რესტორანში გამართული შეკრებების მონაწილეები იყვნენ: კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი, სოლდატ შარვაშიძე, სეითბეი ანჩაბაძე, ასტამურ აქირთავა, ნესტორ დადიანი, იასონ მარღანია, დიჟ კვეკვესკირი, გრიგოლ ჭედია, რაჟდენ ჟვანია, გრიგოლ ჯინჯოლია, გრიგოლ გამისონია, ნიკოლოზ მალანია, ვიქტორ ჟორჟოლიანი, მაქსიმე კორსანტია, ანდრია ხოფერია და სხვ. გარდა ამისა, ნოჩო მიქელაძე, ალექსანდრე მარშანია, ვლადიმერ ქორქია, ალექსანდრე მიქელაძე, ნესტორ დადიანი და თბილისიდან სპეციალურად ჩამოსული რამდენიმე ახალგაზრდა სოფლებში კრებებს მართავდნენ, ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდნენ და შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ. როგორც საგამოძიებო მასალებშია აღნიშნული, აჯანყების მიზანი იყო „შეეხსენებინათ და დაენახვებინათ ევროპისათვის, რომ აფხაზი და ქართველი ხალხი ისწრაფვის მენშევიკების ხელისუფლების დაბრუნებისათვის და რომ ოცნება ყოფილ დამოუკიდებელ მენშევიკურ საქართველოზე მოსახლეობაში არ ჩამქრალა“ (საბჭოთა, 2015: 335; ენდელაძე, 2003: 76; კერესელიძე, 2013: 20-22).

23-24 მაისს კოდორის მაზრის პოლიტბიუროსა და კოდორის სამაზრო კომიტეტის ერთობლივი სხდომა გაიმართა. სხდომაზე მოსალოდნელი აჯანყების საწინააღმდეგო ღონისძიებები დაისახა. ხელისუფლების მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების გამო ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყება ვერ მოხერხდა, თუმცა აჯანყების მესვეურებს თავიანთ განზრახვაზე ხელი არ აუღიათ (ჯიქია, 2011ა: 358-359).

კოდორის მაზრის პოლიტბიურომ და აფხაზეთის ჩეკამ 28 მაისს დააპატიმრა არალეგალური ორგანიზაციის წევრები: მუშნი დადეშქელიანი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ექვთიმე გაბუნია, პელაგია პინტურია, ვასილ კვარაცხელია, ტარას კვარაცხელია, ჭიჭიკო კოპალეიშვილი. თუმცა, მოგვიანებით, ისინი გაათავისუფლეს. მალე, მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. დააპატიმრეს: თამშულ ანჩაბაძე, ნესტორ ანუა, სეითბეი ძიაფშიფა, თათაშა ძიაფშიფა, ალექსანდრე მარშანია, კრბეი მარშანია, ნარბეი მარშანია, ნიკოლოზ ბჟანია, კონსტანტინე გაბლია, კაპიშ ფილია, ალექსანდრე ჯიჯელავა, ბარდღუ მიქვაბია, ედიკ აბიჯბა, ბიჯგვა ათუმავა და სხვები, 50-ზე მეტი კაცი,

რომელთაც სასჯელის სხვადასხვა ზომა შეეფარდათ (ჯიქია, 2011ა: 360). არალეგალური ორგანიზაციის ზოგიერთმა წევრმა, მათ შორის, ნოჩო მიქელაძემ, ნესტორ დადიანმა, ძმებმა მუშნი და ოთარ დადიანებმა, ასტამურ ძიაფშიფამ, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა ვასილ ღურჯუამ და სხვებმა მიმალვა მოასწრეს. „მავნე ელემენტებს“ – ნოჩო მიქელაძეს, ნესტორ დადიანს და კიდევ რამდენიმეს დაუსწრებლად სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია მიესაჯა. მთავრობამ დიდი ჯილდო დააწესა მათთვის, ვინც ხელისუფლებას „ამ ყაჩაღებსა და საშიშ რეციდივისტებს“ მიჰგვრიდა (კერესელიძე, 2013: 21-22).

29 მაისს აჯანყების ხელმძღვანელებმა კოდორის მაზრის თხინის სასოფლო საბჭოს სოფელ აბაჟვახუში შეკრება მოაწყვეს. თათბირზე აჯანყების აუცილებლობაზე იყო საუბარი. მეორე შეკრება 1 ივნისის ღამეს სოფ. მოქვის ტყეში გაიმართა. შეკრებაზე გადაწყდა იმ ღამესვე დაეწყოთ აჯანყება და ოჩამჩირე დაეკავებინათ, კომუნისტები დაეპატიმრებინათ და ძალაუფლება ხელში აეღოთ. აჯანყებულებისათვის დახმარება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტამიშის ორგანიზაციის შეიარაღებულ რაზმსა და ოჩამჩირის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას უნდა აღმოეჩინა. როდესაც შეკრებილებისათვის ცნობილი გახდა ოჩამჩირეში დაწყებული მასობრივი რეპრესიების შესახებ, მათ აჯანყების მოწყობაზე ხელი აიღეს (შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 23480, ფურც. 281-282; ჯიქია, 2011ა: 359).

იმავდროულად, აფხაზეთში ასეთი შინაარსის მოწოდება გავრცელდა: *„ქართველნო მოქალაქენო. უკვე ყველამ ნათლად დავინახეთ ჩვენში ძალად შემოჭრილ მოსკოვის ყაჩაღურ ხიშტების იდეურად და ეკონომიურად გაკოტრება და მათი ძაფზე გარჩენა, რომელიც მალე გაწყდება და ჩვენ ყველა, ქართველნი* და *აფხაზ*ნი ვალდებული ვართ მამულიშვილურათ შევხვდეთ ჩვენ დამზადებულ ნიადაგის განხორციელებას. აი, ეხლა დარწმუნდებით, რომ ყაჩაღურ ფულს არ ღებულობენ და დაეძებენ ნამდვილ ხალხოსნურ დემოკრატიულ ფულს, რომელიც ცნობილია ყველასთვის. მოქალაქენო, რათ უნდათ მაგათ ხალხოსნური ფული, როდესაც ხალხოსნური მართვა-გამგეობა არ სურთ? მაგრამ ხედვენ თავიანთ სიკეთეს... მაშ, ქართველნო, წინ! ჩვენ ლაჩრობა არ გვჩვევია. გაუმარჯოს აფხაზთა და საქართველოს ძმურ და მეგობრულ კავშირს! გაუმარჯოს ყველა დემოკრატიულ

რესპუბლიკებს! ძირს მუხანათ მოღალატენი! გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“ (შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 23480, ფურც. 81; კერესელიძე, 2013ა: 27-28).

7 ივნისს სოფ. აჟარაში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილი მისმა მეთაურმა ჩერნიშოვმა მოხსნა და სოფ. ჩხალთისაკენ გაემართა. ასეთ ვითარებაში, აჟარაში სოფ. ტამიშიდან კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი ჩავიდა თავის ძმებთან თენგიზ, არდევან და ტარიელ დადეშქელიანებთან და ნიკოლოზ გერლიანთან ერთად. ისინი მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მძლავრი ანტისაბჭოთა აჯანყება მიმდინარეობდა. მათი თქმით, ისინი აჟარაში აჯანყების მოწყობის მიზნით ჩავიდნენ. კ. დადეშქელიანის განმარტებით, აჟარიდან ჯარის ნაწილი იმიტომ გავიდა, რომ მათ ტყვედ ჩავარდნის შეეშინდათ (შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 23480, ფურც. 281-282; ჯიქია, 2011ა: 359). თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯარის ნაწილი ოჩამჩირეში დაგეგმილი შეიარაღებული გამოსვლების გამო წავიდა კოდორის ქვემო წელისკენ.

კოწია დადეშქელიანმა 50-მდე შეიარაღებული პირი შეკრიბა და ჩერნიშოვის რაზმის კვალდაკვალ ჩხალთისაკენ გაემართა. მაგრამ ჩერნიშოვმა ჩხალთა სვანების შეიარაღებული რაზმის მისვლამდე დატოვა. მოგვიანებით, კ. დადეშქელიანი თავის რაზმთან ერთად მიიმალა (შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 23480, ფურც. 316; ჯიქია, 2011ა: 359). თუმცა კ. დადეშქელიანი მალევე დააპატიმრეს. 9 ივნისს აფხაზეთის საგანგებო კომისიის (აბჩეკა) საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსის გიორგი ათარბეკოვის განკარგულებით, 1922 წლის მაისში, კოდორის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობასთან დაკავშირებით საქმე №170 შეიქმნა (ენდელაძე, 2003: 75).

აფხაზეთის საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებულთა ნაწილი იმავე წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს. 14 ნოემბერს გაიმართა აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: სევერიან კუხალეიშვილი (საგანგებო კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ჩაჩბა (რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარე), ნესტორ ლაკობა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), სამსონ კარტოზია (ცაკის თავმჯდომარე), ალექსანდრე უბირია (საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მოადგილე), გოლდგეიმი (საკავშირო კომუნისტური პარტიის ცკ-ის წარმო-

მადგენელი), დობროვოლსკი (სხდომის მდივანი). სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პატიმრები, რომლებიც აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით კვლავ პატიმრობაში რჩებოდნენ, ოთხ კატეგორიად დაეყოთ: I. ხელმძღვანელები და აქტიური წევრები, როგორც პოლიტიკური, ისე ბანდიტური ხასიათის თვალსაზრისით; II. ნაკლებად აქტიურები და პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანი პირები; III. ბანდიტები, რომლებიც აჯანყების მომზადების მონაწილეებს მენშევიკების პროპაგანდის ზეგავლენით მიემხრნენ; IV. გლეხები და უპარტიოები, ყოფილი თავადები და აზნაურები, რომლებიც აჯანყების ორგანიზატორებს მიემხრნენ, თუმცა თავი არაფრით გამოავლინეს (ენდელაძე, 2003: 76; ჯიქია, 2011ა: 362).

ამის შესაბამისად, I კატეგორიას მიაკუთვნეს პატიმრობაში მყოფი ვიქტორ ჟორჟოლიანი, კოწია დადეშქელიანი, ჭიჭიკო კოპალეიშვილი, ვასილ კვარაცხელია; ძებნილები: ნოჩო მიქელაძე, გიორგი მიქელაძე, ნესტორ დადიანი, მუშნი დადიანი, ვასილ ღურჯუა. პირველ ოთხ პირს 5 წლით პატიმრობა მიესაჯა სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოდან გასახლებით (საქართველოდან გასახლება მხოლოდ კ. დადეშქელიანს არ ეხებოდა). ისინი თბილისში, საქჩეკას განკარგულებაში გადააგზავნეს; II კატეგორიას მიეკუთვნა პატიმრობაში მყოფი ალექსანდრე ჯინჯოლავა, იპოლიტე ჟორჟოლიანი, ნიკოლოზ მალანია, სოლდატ შარვაშიძე; ძებნილები: ალექსანდრე ყურაშვილი, გრიგოლ გამისონია, ოთარ დადიანი; III კატეგორიას მიეკუთვნა ალექსანდრე მარშანია; ძებნილები: ვლადიმერ ქორქია, სპირიდონ სალაყაია; IV კატეგორიას მიეკუთვნა პატიმრობაში მყოფი კონსტანტინე გაბლია, დაჟგუ ხინთბა, სამსონ ტუჟბაია; გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლებულები: მუშნი დადეშქელიანი, გუჯუჯ მარღანია, თამშუღ ანჩაბაძე, ზაურბეკ ანჩაბაძე, კრბეი მარშანია, იასონ მარღანია, ნესტორ ანუა, ნიკოლოზ ბჟანია, ჩიკ კვარაცხელია, ბიჯგვა ათუმავა, კვაკვაპ აგირბა, პეხო კვარჭია, პლატონ ბებია, ბარდღუ მიქვაბია, ბეგი (ბეგლარ) მინჯგია, ნესტორ გოგიძე, თეიმურაზ კუპრავა; ძებნილები: მაგა ადლეიბა, თოე ემუხვარი, ფარნა ცომაია, რაჟდენ ჟვანია, ასტამურ ძიაფშიფა; შინსახკომზე რიცხული და გათავისუფლებული სეით ძიაფშიფა. მათ მიესაჯათ პირობითი პატიმრობა 1 წლით, გაათავისუფლეს ციხიდან და აღრიცხვაზე აიყვანეს (ენდელაძე, 2003: 76-78).

ციხეებში გაუსაძლისი პირობები იყო. ამის გამო, პატიმრობაში მყოფი ედიკ აბიჯბა 1922 წლის ოქტომბერში სოხუმის ციხეში გარდაიცვალა (ენდელაძე, 2003: 49). 1923 წლის 31 იანვარს იპოლიტე ჟორჟოლიანი, ჭიჭიკო კოპალეიშვილი, ვასილ კვარაცხელია, ალექსანდრე და სოლდატ შარვაშიძეები სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გასვლის შესახებ ხელწერილის დადების შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს, ხოლო ვიქტორ ჟორჟოლიანი რუსეთში გაასახლეს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (გპუ) განკარგულებაში (ენდელაძე, 2003: 78).

ამ დროს პოლიტიკური პარტიების თვითლიკვიდაციის პროცესი მიმდინარეობდა. 1921-1922 წლებში ახალი ხელისუფლება ავიწროებდა პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ მათ არსებობას თითქოს ურიგდებოდა. 1923 წლის დასაწყისიდან ხელისუფლებამ საგანგებო ზომებს მიმართა არასაბჭოთა პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკური პარტიების ლიკვიდაციისათვის. უხეში ზეწოლით მათ აიძულებდნენ თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინათ. გაზეთებში იბეჭდებოდა კონკრეტული პირების განცხადებები პარტიის დატოვების შესახებ. თვითლიკვიდაციის პროცესს დაექვემდებარა ყველა წამყვანი ქართული პოლიტიკური პარტია: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვ. (შველიძე, 2022: 276-277; გრძელიძე, 1998: 251-252).

ოთარ დადიანის წერილი მეუღლისადმი. 1923 წელს მუშნი და ოთარ დადიანები კოდორის ხეობას, შემდეგ სვანეთს აფარებდნენ თავს.

ივანე (მუშნი) დადიანი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა რუსეთის საიმპერატორო არმიის „ველური დივიზიის“ ყაბარდოს ცხენოსანთა პოლკში, შემდეგ ჩაჩნურ ცხენოსანთა პოლკში. დაჯილდოებული იყო წმ. ანას IV ხარისხის ორდენითა და „წმ. გიორგის იარაღით“. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს ჯარში. 1921 წელს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ერთხანს ქართული წითელი არმიის ცხენოსანთა დივიზიაში მსახურობდა. მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებაში (კვიტაიშვილი, 2011:57).

ოთარ დადიანი მსოფლიო ომის დროს უფროს ძმასთან – მუშნი დადიანთან ერთად მსახურობდა რუსეთის საიმპერატორო არმიაში, „ველური დივიზიის“ ჩაჩნურ ცხენოსანთა პოლკში. დაჯილდოებული

იყო წმ. გიორგის IV, II და I ხარისხის ჯვრებით. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს ჯარში. 1921 წელს საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში (კვიტაიშვილი, 2011:58).

შემორჩენილია ოთარ დადიანის წერილი მეუღლის, ლილი მურადბეის ასულ მარშანიასადმი: *„ძვირფასო ჩემო ლილი! ვწერ ამ წერილს სოფელ ჭუბერიდან, წუხელ ჩამოვედი დალიდან ... სხვა რა მოგწერო ჩემო კარგო ლილი. მე სახიფათო გზაზე ვარ დამდგარი. შეიძლება დღეს ან ხვალ არ ვიქნე და ვიქნე მსხვერპლი ჩემი სამშობლოსათვის, მაგრამ შენ გული არ წაიხდინო. ისე მოიქეცი, როგორც გეკადრება, როგორც შეჰფერის მამაშენის შვილს. შენ გაუწიე ჩვენს შვილებს დედობაც და მამობაც – აი, ეს არის ჩემი სიტყვები, ჩემო კარგო ლილი, აწი შენ იცი და შენმა ქალობამ... ოთარი. 1923 წ. 3 დეკემბერი ძვ. სტილით. სოფ. ჭუბერი“* (ქურდოვანიძე, 2008: 187).

თარასხან ეშბა. 1922-1923 წლებში სამურზაყანოს მაზრაში მოქმედებდა თარასხან ეშბას დაჯგუფება. საგამოძიებო მასალებში აღნიშნულია: თარასხან ეშბა, სოფელ ბედიის მცხოვრები, დაბადებული 1886 წელს, ყოფილი თავადი, 1917 წლიდან იყო სამურზაყანოს მაზრის კომისარი, 1920 წლის აპრილიდან 1921 წლის მარტამდე – სოხუმში განსაკუთრებულ რაზმს ხელმძღვანელობდა (სარსევანიძე, 2008: 84-85).

1921 წლის მარტში მან სამშობლო დატოვა და ოსმალეთში წავიდა. იგი კონსტანტინოპოლში დამკვიდრდა, სადაც ერთ წელზე მეტი დაჰყო. 1922 წლის ნოემბერში ნოე ხომერიკთან ერთად არალეგალურად დაბრუნდა სამშობლოში. ნატანებიდან, სადაც ფარულად გადმოსხდნენ, ნოე ხომერიკი თბილისში გაემგზავრა, ხოლო თარასხან ეშბა სენაკში, იქიდან კი მშობლიურ სოფელში, ბედიაში, ჩავიდა და მამისეულ სახლში იმალებოდა. 1923 წლის აპრილში ნოე ხომერიკისაგან ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადების თაობაზე დავალება მიიღო. მან ჩამოაყალიბა შეიარაღებული დაჯგუფება, რომელშიც შედიოდნენ: ოქუმ კაჭარავა, ევგენი ჯობავა, იონა ჯინჯოლია, თარასხან ანჩაბაძე, ლეონტი ოკუჯავა, იასონ ჯინჯოლია და სხვ. დაჯგუფება მოქმედებდა სოფლების – ეშქითის, ბედიის, ტყვარჩელის, ოქუმის, აჩიგვარის, რეჩხის, ბარღების, ოტობაიის, ფოქვეშის, მუხურის ტერიტორიებზე. 1923 წლის ივნისის პირველ რიცხვებში თარასხან ეშბამ ანტისაბ-

ჭოთა აჯანყების მოწყობა სცადა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ, დაჯგუფების ლიკვიდაციის მიზნით, ჩეკამ საგანგებო ზომები მიიღო. ამის გამო თარასხან ეშბა 1923 წლის 7 ივლისს სოფელ ბედიაში ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდა. მალე, თარასხან ანჩაბაძეც დააპატიმრეს. ამ უკანასკნელს 1924 წლის მარტში დახვრეტა მიესაჯა, თუმცა აპრილში დახვრეტა 5 წლიანი მკაცრი იზოლაციით შეუცვალეს. ეშბასა და ანჩაბაძის შეპყრობის შემდეგ დაჯგუფების წევრები დაიფანტნენ. მოგვიანებით, საგანგებო კომისიამ ისინი დაიპატიმრა ან გაანადგურა (სარსევანიძე, 2008: 85-89; თულნი, 2015: 47-50; ჯიქია, 2011ა: 363). თარასხან ეშბა თბილისში გადააგზავნეს, სადაც მეტეხის ციხეში მოათავსეს.

ანტისაბჭოთა დაჯგუფებები აფხაზეთში. თარასხან ეშბას რაზმის გარდა აფხაზეთში სხვა შეიარაღებული ანტისაბჭოთა რაზმებიც მოქმედებდა. ერთ-ერთ რაზმს **ხუტა ემუხვარი** მეთაურობდა. ამ უკანასკნელს მუდმივი კავშირი ჰქონდა თარასხან ეშბასთან (ჯიქია, 2011ა: 364). ეს დაჯგუფება საგანგებო კომისიამ 1923 წლის ზაფხულში გაანადგურა.

აფხაზეთში მოქმედებდა ასევე **ევტიხი სიჭინავას** შეიარაღებული დაჯგუფება. ევტიხი სიჭინავა სოფელ ლიხნის მკვიდრი იყო. 1921-1922 წლებში ის აფხაზეთის საგანგებო კომისიის კომისრად მუშაობდა. 1922 წელს ტყეში გაიქცა და **ქემშიშა ჯანჯღავას** დაჯგუფებას შეუერთდა. 1922 წლის 5 ოქტომბერს დაჯგუფებასა და მილიციის რაზმს შორის შეტაკებისას ქემშიშა ჯანჯღავა და რაზმის რამდენიმე წევრი დაიღუპა. გადარჩენილებს შორის იყო ევტიხი სიჭინავა, რომელმაც ახალი შეიარაღებული დაჯგუფება შექმნა. იგი თავის დაჯგუფებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმად თვლიდა, თუმცა უფრო კრიმინალურ-პოლიტიკური ხასიათისას წარმოადგენდა. იგი მოქმედებდა გუდაუთისა და გუმისთის მაზრების ტერიტორიაზე, მათ შორის ფსხუში. დაჯგუფების შემადგენლობაში შედიოდნენ იპატი ჩხაპელია, ივანე სხულუხია, ალექსი შონია, ჩანთა კაჭარავა, ანდრია კაჭარავა. ჩეკას რაზმებთან შეტაკებებში დაიღუპნენ ივანე სხულუხია და ჩანთა კაჭარავა. 1924 წლის ნოემბერში აფხაზეთის შინსახკომის საგანგებო რაზმმა მიხეილ შლატერის მეთაურობით ჩხაპელია და სიჭინავა ალყაში მოაქცია. შეტაკებისას ჩხაპელი მოკლეს, ხოლო ევტიხი სიჭინავა ხელისუფლებას ჩაბარდა. 1924

წლის 18 დეკემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიის დადგენილებით, ევტიხი სიჭინავა დახვრიტეს (თულნი, 2015: 42-46). აფხაზეთში მოქმედებდა ასევე **ივანე ჩქოტუას** 12 კაციანი დაჯგუფება, რომელიც საგანგებო კომისიამ გაანადგურა (ჯიქია, 2011ა: 364).

გერასიმე განდელიას საქმე. 1922-1923 წლებში აფხაზეთში მოქმედებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ახალგაზრდა პედაგოგი, კოდორის მაზრის მცხოვრები გერასიმე იაკობის ძე განდელია. ორგანიზაციას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანტისაბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელებთან თბილისში. კერძოდ, გერასიმე განდელიას ჰქონდა ინფორმაცია, როდის უნდა ჩამოსულიყვნენ საფრანგეთიდან ვალიკო ჯუღელი და არზაყან ემუხვარი (ხუბულური, 1991).

1923 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის საგანგებო კომისიამ მიიღო ინფორმაცია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გერასიმე განდელია თითქოსდა თამბაქოს შეძენის მიზნით სოფლებში დადიოდა და ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა; მას კავშირი ჰქონდა იატაკქვეშეთში მომუშავე მენშევიკებთან, მენშევიკების პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. 28 მარტს ჩეკამ გერასიმე განდელია დააპატიმრა (ენდელაძე, 2003: 28). ორი დღის შემდეგ აფხაზეთის საგანგებო კომისიამ დაპატიმრებები დაიწყო და ორი კვირის განმავლობაში 26 კაცი დააპატიმრა, მათ შორის: კონსტანტინე აქირთავა, აქვსენტი ბერიძე, კონსტანტინე ჩიქოვანი, ვასილ გამისონია, ივანე აფონდოპულო, გედეონ სანიკიძე და სხვ. (ენდელაძე, 2003: 54; ჯიქია, 2011: 364-365). მათ ბრალად წაუყენეს კონტრრევოლუციაში მონაწილეობა, კერძოდ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით აჯანყების ორგანიზებაში მონაწილეობა, რისთვისაც სხვადასხვა ვადით პატიმრობა შეუფარდეს (ენდელაძე, 2003: 55; ჯიქია, 2011ა: 365). გამოძიების დამთავრების შემდეგ, მაისში, კლიმენტი ალასანია, შიო ცხაკაია, თეიმურაზ ფარცვანია, ბედე ჯობავა, რაჟდენ კაკუბავა და მიხეილ შარანგია „საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალობის“ ხელწერილის ჩამორთმევის შემდეგ პატიმრობიდან გაათავისუფლეს, სხვები კი თბილისში გადააგზავნეს. მათგან, ჯერ კიდევ სოხუმში, გედეონ სანიკიძემ, გერასიმე განდელიას საქმიანობაზე სრული ჩვენება მისცა, რის გამოც პატიმრებმა აითვალწუნეს

(ენდელაძე, 2003: 55-56).

ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო **დავით მხეიძე**. მან ვორონეჟის კადეტთა კორპუსი დაამთავრა, მონაწილეობდა მსოფლიო ომში, მამაცობისათვის წმ. გიორგის ორი ჯვრით და ოქროს იარაღით იყო დაჯილდოებული. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის საქართველოში დაბრუნდა, მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცხოვრობდა სოხუმში, შედიოდა აფხაზეთში მოქმედ ანტისაბჭოთა ჯგუფში (ხუბულური, 1991). დავით მხეიძე ორგანიზაციის დავალებით დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დადიოდა შეიარაღებული აჯანყების მომზადების მიზნით. 1923 წლის 13 აპრილს იგი ოჩამჩირეში მაშინ დააკავეს, როცა არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელთან გერასიმე განდელიასთან შესახვედრად მიდიოდა (ხუბულური, 1991).

გერასიმე განდელია 1923 წელს ციხეში დახვრიტეს. მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთში მოქმედ ჯგუფს საზღვარგარეთიდან უნდა მიეღო იარაღი, სამხედრო ხელმძღვანელობას კი **თარასხან ეშბა, დავით მხეიძე და მელიტონ ჩიქოვანი** განახორციელებდნენ (ხუბულური, 1991). რაც შეეხება დავით მხეიძეს, მან დაკითხვაზე მეამბოხეებთან ყოველგვარი კავშირი უარყო და შეეცადა გამოძიებისთვის გზა-კვალი აერია. შეიძლება თქვენ პოლკოვნიკ დავით მხეიძეში გეშლებით, რომელიც მენშევიკებს გაჰყვა საზღვარგარეთ. მეფის არმიაში მე პრაპორშჩიკი ვიყავი და ამჟამად კომერციულ საქმიანობას ვეწევიო. ვინაიდან დავით მხეიძის სახლში ჩხრეკისას ორგანიზაციასთან დაკავშირებული საბუთები ვერ აღმოაჩინეს, იგი თავდებით გაათავისუფლეს (ხუბულური, 1991).

ხელისუფლებამ დააპატიმრა და 1923 წლის 10 აგვისტოს განაჩენით დახვრიტა ალექსანდრე მარშანია, ჯოტო მარშანია, შაშკო ამიჭბა, დომეი ამიჭბა, იასონ ჯიქია, იონა ჯინჯოლია, სპირიდონ სალაყაია, ტატაშ ძიაფშიფა (ჯიქია, 2011ბ: 225).

საგანგებო კომისია გამწარებული დაეძებდა არალეგალური ორგანიზაციის წევრს **ვასილ ღურჯუას**. მისი ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით დააკავეს სოფელ კინდღში მცხოვრები მისი ძმები სპირიდონ, თაბაქ, სტეფანე ღურჯუები, სოფელ ტამიშის მცხოვრები ნიკოლოზ ბჟანია. დაკავებულებს საგანგებო კომისიაში ხელწერილი

ჩამოართვეს, რომლის თანახმადაც ისინი ვალდებული იყვნენ ვასილ ღურჯუა საგანგებო კომისიაში 20 დღის ვადაში წარმოედგინათ. რადგან მათ პირობა არ შეასრულეს, საგანგებო კომისიამ ისინი ხელახლა დააკავა და 6 თვიანი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა 1924 წლის მარტში, ისინი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს (ჯიქია, 2011ა: 366). 1923 წლის 22 მარტს ვასილ ღურჯუას მეუღლე, მარიამი, დააკავეს. მისი დაკითხვიდან გაირკვა, რომ ის მეუღლეს სურსათით და მედიკამენტებით ხშირად ამარაგებდა (ჯიქია, 2011ა: 366). 1924 წლის აგვისტოს დასაწყისში საგანგებო კომისიამ ვასილ ღურჯუა დააპატიმრა (ჯიქია, 2011ა: 367).

აჯანყებისთვის მზადება. აფხაზეთში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **არტემ ფანცულაია** იყო. ის აფხაზეთში 1922 წლის აპრილში ჩავიდა და 1924 წლის 8 სექტემბრამდე დარჩა. მან აღადგინა კავშირი ყველა მაზრასთან. თბილისიდან არტემ ფანცულაიას დაშიფრული წერილი გამოუგზავნეს, რომლითაც ეკითხებოდნენ, იყო თუ არა შესაძლებელი ტერორისტული აქტის განხორციელება ფელიქს ძერჟინსკიზე, რომელიც საქართველოში აფხაზეთის გავლით უნდა ჩამოსულიყო. ტერაქტის განხორციელების შემთხვევაში მას ხუთი კაცის გამოგზავნას ჰპირდებოდნენ (ჯიქია, 2011ა: 367).

1922 წლის ნოემბერში ფელიქს ძერჟინსკი საქართველოში ჩამოვიდა აქ შექმნილი ვითარების შესასწავლად, სახელდობრ, ნაციონალ-უკლონისტების საქმესთან დაკავშირებით. ძერჟინსკი მცირე ხანს სოხუმში იმყოფებოდა, შემდეგ სერგო ორჯონიკიძის თანხლებით თბილისში გაემგზავრა. მდინარე ენგურამდე ისინი ნესტორ ლაკობამ და შინსახკომის რაზმმა მიაცილა (გიგაური, 1981: 3; მიქაია, 1985). აფხაზეთში ძერჟინსკის რაიმე ინციდენტი არ შემთხვევია.

1922 წლის ნოემბერში სოხუმში ჩავიდა **ალექსანდრე ძაძამია**, რომელმაც არტემ ფანცულაიას აცნობა, რომ ნოე ხომერიკისაგან აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნა ჰქონდა დავალებული. არტემ ფანცულაიამ ალექსანდრე ძაძამიას თანხმობა მისცა, თუმცა, იმავდროულად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განცხადებით მიმართა, რომ აფხაზეთში მოსახლეობის სიჭრელის გამო, სამხედრო ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელი იყო; თუ აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაცია შეიქმნებოდა, ის მალე ჩავარ-

დებოდა. საბოლოოდ, ალექსანდრე ძაძამიამ აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნა ვერ შეძლო (კირთაძე, 1998: 386-388; ჯიქია, 2011ა: 367-368).

1924 წლის დამდეგს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით სოხუმში **ივანე ბაძაღუა** ჩავიდა. მისი მიზანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სოხუმის კომიტეტის მუშაობის შემოწმება და მისთვის სასურველი მიმართულების მიცემა იყო. ივანე ბაძაღუამ არტემ ფანცულაიას აცნობა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოხუმის საოლქო კომიტეტის მუშაობით უკმაყოფილო იყო, რადგან ადგილობრივი დამოუკიდებლობის კომიტეტისა და სამხედრო ორგანიზაციის შექმნა ვერ შეძლო (კირთაძე, 1998: 387; ჯიქია, 2011ა: 368). 29 მარტს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ალექსანდრე ძაძამიას დაპატიმრების მიზნით ოპერაცია ჩაატარა, მაგრამ ის გადარჩა. თუმცა, საგანგებო კომისიამ ივანე ბაძაღუა დააპატიმრა (ჯიქია, 2011ა: 368).

1924 წლის ივლისის ბოლოს სოხუმში სოციალ-დემოკრატიული პარტიის კიდევ ერთი რწმუნებული, აკაკი ფიჩხაია ჩავიდა. მისი მიზანი იყო გამოერკვია სოხუმის საოლქო კომიტეტი რა ტიპის მუშაობას ეწეოდა. სოხუმში ყოფნისას აკაკი ფიჩხაიას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს იქ საოლქო კომიტეტი არ არსებობდა. წესით, კომიტეტში 5 კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად იქ მხოლოდ არტემ ფანცულაია და ქუჩულორია იყვნენ; მაზრებში კი, როგორც ფანცულაიამ და ქუჩულორიამ მას განუცხადეს, საბჭოთა ხელისუფლებამ სამაზრო ორგანიზაციების ლიკვიდაცია მოახდინა. გარდა ამისა, აკაკი ფიჩხაიამ შეიტყო, რომ პარტიის წევრებს შორისაც მაინცდამაინც ჯანსაღი ურთიერთობა არ იყო. ამის შემდეგ აკაკი ფიჩხაია თბილისში დაბრუნდა (ჯიქია, 2011ა: 368-369).

1924 წლის აგვისტოს გამოსვლები აფხაზეთში. 1922 წლის აგვისტოში, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გაშლილი ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის მიზნით შეიქმნა ინტერპარტიული ორგანიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი), იგივე პარიტეტული კომიტეტი. იგი გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკური ცენტრი საქართველოში. იმავე წლის შემოდგომაზე დამკომთან შეიქმნა სამხედრო ცენტრი, რომლის ამოცანა შეიარაღებული აჯანყების მომზადება

იყო (ენდელაძე, 2003: 112; ჯიქია, 2011ბ: 89-97).

შეიარაღებული აჯანყების დაწყება იგეგმებოდა 1923 წლის 26 მაისს, მაგრამ იგი არ შედგა იმის გამო, რომ მარტში სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს. 21 მაისს, განთიადისას, თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე სამხედრო ცენტრის წევრები, ქართული მხედრობისა და სამხედრო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები დახვრიტეს.

1924 წლის გაზაფხულზე საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები **ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი** და სხვ. მათი მიზანი ადგილობრივ ვითარებაში გარკვევა და აჯანყების სამზადისის შეფასება იყო (ენდელაძე 2003: 118). საქართველოს საგანგებო კომისიას აჯანყებისათვის მზადება არ გამოპარვია – აჯანყების მზადების შესახებ ინფორმაცია გაზაფხულზე უკვე ჰქონდა. 14 მარტს საქართველოს ჩეკას თავმჯდომარის მოადგილემ, ლავრენტი ბერიამ, აფხაზჩეკას და აჭარჩეკას გაუგზავნა შიფროგრამა, რომლითაც შეატყობინა, რომ 25-26 მარტს ინგლის-სსრ კავშირის კონფერენციასთან დაკავშირებით, მოსალოდნელი იყო შეიარაღებული გამოსვლები, რომლის მიზანი საბჭოთა ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების ძალმომრეობაზე ევროპის სახელმწიფოებში აღშფოთების გამოწვევა იყო. მოსალოდნელი გამოსვლების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით იგი სიფხიზლის გამოჩენასა და აქტიური მოქმედებებს მოითხოვდა (ენდელაძე, 2003: 119-121).

აჯანყების ორგანიზატორები და ემიგრანტული მთავრობა იმედოვნებდნენ საერთო-სახალხო გამოსვლების მოწყობას არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით, რისთვისაც შესაბამისი სამუშაოები ჩატარდა (სარალიძე, 2016: 269). იმავდროულად, საგანგებო კომისია აქტიურად მოქმედებდა. დააპატიმრეს აჯანყების ორგანიზატორები – თებერვალში გოგიტა ფაღავა, ხოლო 25 ივნისს – ბენია ჩხიკვიშვილი. სხვა სოციალ-დემოკრატ ლიდერებთან ერთად ივნისში ისინი სუზდალის ციხეში გადააგზავნეს. 6 აგვისტოს დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი (ენდელაძე, 2003: 119).

1924 წლის ივლისში დამკომმა აჯანყების დაწყების თარიღად 17 აგვისტო დანიშნა, მაგრამ რეპრესიების გამო იგი 29 აგვისტოსთვის გადაიდო. საქართველოს საგანგებო კომისიამ 12 აგვისტოს აფხა-

ზეთისა და აჭარის საგანგებო კომისიების თავმჯდომარეებს, ყველა პოლიტბიუროსა და საინფორმაციო პუნქტის უფროსებს მოსალოდნელი აჯანყების მზადების შესახებ აუწყა (ენდელაძე, 2003: 122). *ჩეკაში* ვალიკო ჯუღელს უჩვენეს აჯანყების გეგმა, რის შემდეგაც ის დარწმუნდა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა, რაც აჯანყების წარმატებას გამორიცხავდა. მან თვითმკვლელობა სცადა, თუმცა, უშედეგოდ. ამის შემდეგ ვალიკო ჯუღელმა მოითხოვა თანამებრძოლებთან შეხვედრა, რათა აჯანყება გაეუქმებინათ. ჩეკამ ამისათვის გაათავისუფლა პატიმარი ვანო ღლონტი, მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცეკამ, მიღებული წესების თანახმად, რომელიც ჩეკას მეშვეობით დაპატიმრებულ 551 თანამებრძოლთან კონტაქტს გამორიცხავდა, ვალიკო ჯუღელს უპასუხა, რომ აჯანყება არ იგეგმებოდა. ვალიკო ჯუღელმა თანამებრძოლებს გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობითაც მიმართა აჯანყების გაუქმების მოთხოვნით, თუმცა აჯანყების ორგანიზატორებმა ჩათვალეს, რომ ეს ჩეკას ზეწოლით დაწერილი წერილი იყო და სათანადო ყურადღება არ მიაქციეს (ჯუღელი, 1924; ჯიქია, 2011ბ: 514).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების წინ სამურზაყანოს მაზრაში სამხედრო მუშაობა დაავალა სამეგრელოს სამხედრო შტაბს, რომელსაც **დავით მხეიძე** ხელმძღვანელობდა. შტაბის წევრები იყვნენ ხარიტონ ლაშხია, აქვსენტი შალამბერიძე და სპირიდონ სულუხია (ჯიქია, 2011ა: 370). დამკომის მიერ შემუშავებული გეგმით, სამეგრელოში აჯანყების წარმატებით განხორციელების შემდეგ, ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს სამურზაყანოს მაზრა უნდა დაეკავებინა, შემდეგ კი სოხუმისკენ უნდა დაძრულიყვნენ. სოხუმისკენ გაემართებოდნენ ასევე აჯანყებული სვანები (ჯიქია, 2011ა: 370). პარიტეტული კომიტეტის წევრებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ აჯანყებული სამეგრელოსა და სვანეთის გაერთიანებული ძალები აფხაზეთს აიღებდნენ (ენდელაძე 2003: 119).

28 აგვისტოს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ეპიფანე კვანტალიანმა აფხაზჩეკას და ყველა პოლიტბიუროს უფროსს გაუგზავნა შეტყობინება ღამით მოსალოდნელი გამოსვლების შესახებ და საგანგებო ღონისძიებების ჩატარების ნება დართო (ენდელაძე, 2003: 123-124). აჯანყების დაწყების დღედ 29 აგვისტო იყო განსაზღვრული, მაგრამ ერთი დღე-ღამით ადრე, 28 აგვისტოს,

დილის 4 საათზე ჭიათურაში შეიარაღებული გამოსვლა დაიწყო, რამაც ხელისუფლებას ძალების მობილიზების საშუალება მისცა (ენდელაძე, 2003: 124). საგანგებო კომისია აჯანყებულებს მანამდე გაუსწორდა, ვიდრე საერთო-სახალხო აჯანყება დაიწყებოდა. 29 აგვისტოს, განთიადისას, როგორც დათქმული იყო, თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით აჯანყება დაიწყო, თუმცა საგანგებო კომისია უკვე აქტიურად მოქმედებდა. აჯანყების მსვლელობაზე უარყოფითად იმოქმედა იმანაც, რომ ვერ მოხერხდა თბილისზე შეტევა და მისი დაკავება, რაშიც მთავარი როლი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეკისრებოდა. ამაზე კი აჯანყების ხელმძღვანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ (ნათმელაძე, დაუშვილი, 2004: 55). აჯანყების დაწყების შემდეგ, საგანგებო კომისიამ დაპატიმრებულების დახვრეტის გადაწყვეტილება მიიღო. 30 აგვისტოს ვალიკო ჯუღელი თბილისში დახვრიტეს. იმავე დღეებში, ფელიქს ძერჟინსკის სანქციით, სუზდალში დახვრიტეს ქართველი სოციალ-დემოკრატები.

აფხაზეთში გამოსვლები სამურზაყანოსა და კოდორის მაზრებში მოხდა. 1924 წლის 29 აგვისტოს ღამეს აჯანყებულებმა **კონსტანტინე დადეშქელიანის** მეთაურობით წებელდის რაიონში ძალაუფლება ხელში აიღეს. კოწია დადეშქელიანმა სოფელ აჟარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ **ბესარიონ აფრასიძე** დანიშნა. იმავდროულად მან ხმები გაავრცელა, რომ მთელ საქართველოში, და მათ შორის აფხაზეთშიც, საბჭოთა ხელისუფლება დაემხო (ჯიქია, 2011ა: 370; Хорава, 2022: 109).

აფხაზეთის ხელისუფლებამ საგანგებო ზომები მიიღო გამოსვლების აღსაკვეთად. მობილიზებულ იქნა მილიციის და კომუნარების რაზმები. კომუნარებს ეძახდნენ შეიარაღებულ კომუნისტებს. ისინი წლების განმავლობაში ფლობდნენ იარაღს, გადიოდნენ წვრთნებს და ხელისუფლების როგორც იდეოლოგიურ, ასევე შეიარაღებულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის მიღებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, 1938 წელს, სათანადო დადგენილებით, კომუნისტებმა იარაღი ჩააბარეს (ლუკავა, 1975).

აფხაზეთის საგანგებო კომისიამ კოდორის ხეობაში აჯანყებულების წინააღმდეგ საგანგებო რაზმით სოხუმის მილიციის უფროსი მიხეილ შლატერი გაგზავნა. შლატერი აფხაზეთის მკვიდრი იყო, დე-

დით აფხაზი და მამით გერმანელი. სოხუმიდან კოდორის ხეობაში გაგზავნილი განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის შემადგენლობაში კომუნარებთან ერთად კომკავშირლებიც შედიოდნენ. აგვისტო-სექტემბერში ბრძოლები გაიმართა წებელდაში, ლათაში, ჩხალთაში. ამ ბრძოლებში დაღუპული კომუნარები და კომკავშირლები სოხუმში ჩამოასვენეს და ზღვის სანაპიროზე დაკრძალეს. მოგვიანებით, იქ ობელისკი აღმართეს, რომელსაც რუსულ ენაზე გაუკეთდა წარწერა: 1924 წელს საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში დაცემულ კომკავშირლებს“ (Хорава, 2022: 109). ემიგრანტული მთავრობა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ცნობებს სტამბოლიდან იღებდა. სექტემბერში საქართველოს მთავრობის (დევნილობაში) წარმომადგენელი ოსმალეთში კონსტანტინე გვარჯალაძე პარიზში ემიგრანტულ მთავრობას ატყობინებდა: „წებელდაში 3000 აჯანყებული ებრძვის რუსის ჯარებს“, „სოხუმ-ოჩამჩირის შუა აჯანყებულებს ებრძვის მძიმე არტილერიით მრავალათასიანი რუსის ჯარი. წვავენ, ანადგურებენ სოფლებს. ასობით ხვრეტენ აჯანყებულთა ნათესავებს, ქალებს, ბავშვებს“ (ჯანელიძე, 1998: 128). თუმცა, ინფორმაცია, რომელსაც კონსტანტინე გვარჯალაძე იღებდა და შემდეგ ემიგრანტულ მთავრობას გადასცემდა, რეალობას არ შეესაბამებოდა.

შლატერმა დალში ბესარიონ აფრასიძე და მასთან ერთად 10 აჯანყებული დააპატიმრა. მისთვის ნაბრძანები იყო დატყვევებული აჯანყებულები ადგილზევე დაეხვრიტა, მაგრამ მან ეს დავალება ვერ შეასრულა, რადგან სოფელ აჟარის მილიციამ ამის უფლება არ მისცა. შლატერი იძულებული გახდა დაპატიმრებულები სოხუმში ჩაეყვანა (ჯიქია, 2011ა: 371; Хорава, 2022: 109).

28 აგვისტოს, თბილისიდან ძმის დაკრძალვაზე ჭუბურხინჯში ერთი დღით იყო ჩასული აფხაზეთის რევკომის ყოფილი წევრი ნიკოლოზ აქირთავა. იგი ცნობილი ბოლშევიკი იყო, აქტიურად მონაწილეობდა ყუბანის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლებში, 1921 წლის თებერვალ-მარტში მე-9 წითელ არმიის ნაწილებს მოუძღოდა აფხაზეთში. 1923 წლიდან იყო კავკასიის წითელდროშოვანი წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი თბილისში; აგვისტოში დაინიშნა სამხედრო-საზღვაო ინსპექციის უფროსად. 29 აგვისტოს აჯანყებულების მიერ ზუგდიდის დაკავების ცნობის მიღებისთანავე, როცა გაიგო რომ სამურზაყანოს მილიცია იქითკენ

გაემართა, ენგური გადმოცურა და ზუგდიდის შესასვლელთან დახვდა ამ რაზმს, რომელსაც მილიციის უფროსი ონისიმე ჩიკვატია მეთაურობდა. მან თავის თავზე აიღო რაზმის მეთაურობა და აჯანყების ჩახშობას და ზუგდიდის დაკავებას შეეცადა. მილიციის რაზმი საკმარისი არ იყო ამ ამოცანის გადასაჭრელად, მაგრამ მალე გამოჩნდა მაშველი ძალა სოფელ თაგილონიდან ათნოგენ და ნიკანდრო ლაბაშიების მეთაურობით; მოვიდა მაშველი ძალაც გალელი კომუნარების სახით ვარლამ ქეცბაიას მეთაურობით. სამურზაყანოს მილიციისა და კომუნარების რაზმმა ნიკოლოზ აქირთავას მეთაურობით ზუგდიდის ციხე აიღო, გაათავისუფლა დაპატიმრებული ბოლშევიკები, დაიკავა სამაზრო კომიტეტის შენობა და დაელოდა უმცროს მეთაურთა სკოლის კურსანტების რაზმის შემოსვლას ქალაქში (შონია, 1985).

სამწუხაროდ, აფხაზეთში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სრული სურათის აღდგენა ვერ ხერხდება. შესაძლებელი გახდა მხოლოდ გამოსვლებში მონაწილე პირთა მცირე ნაწილის დადგენა.

კოდორისა და სამურზაყანოს მაზრებში შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეობდნენ, **კოდორის მაზრაში**:

ილორი: ემუხვარი პაჭა კამშიშის ძე, 31 წლის, ყოფილი თავადი, მემამულე, სახალხო გვარდიის წევრი, მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში. აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს; **მერჭულია ოთარ** ალექსის ძე, 36 წლის, ყოფილი აზნაური, მემამულე, აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს; **ბესლახუბა**: **ჟვანია ჯატო** ომარის ძე, ყოფილი აზნაური; **ზვანბაია ჯოჯო** ომარის ძე, 28 წლის, ყოფილი აზნაური, მემამულე; **ფოქვეში**: **საჯაია გუჯუ** ანდრიას ძე, 23 წლის, ყოფილი აზნაური, მემამულე. შეადგინა რაზმი სოფ. ფოქვეშში და მონაწილეობდა აჯანყებაში, რისთვისაც დაპატიმრებული იყო; **აჩბა თარასხან** ჩაგუს ძე, 38 წლის, ყოფილი თავადი, მემამულე, აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის რამდენიმე თვით დაპატიმრებული იყო; **აჩბა თათაშ** ნაჰარბეკის ძე, 21 წლის, ყოფილი თავადი, მემამულე; **აჩბა ქვათა** ტაშის ძე, 34 წლის, ყოფილი თავადი, მემამულე; შეადგინა შეიარაღებული რაზმი და აქტიურად მონაწილეობდა აჯანყებაში, რისთვისაც რამდენიმე თვით დაპატიმრებული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფ. ფოქვეშშის მცხოვრები **აჩბა ალექსანდრე** სალათანის ძე, 31 წლის, ყოფილი თავადი, მემამულე, ხელისუფლებას აჯანყების ჩახ-

შობაში ეხმარებოდა; **გუფი**: **ატუმავა ალმასხან,** 56 წლის, ყოფილი აზნაური, მემამულე. აგვისტოს აჯანყების დროს ბრძოლებში ოთხჯერ დაიჭრა; **ტყვარჩელი**: **აჩბა ილმა** შიმას ძე, 41 წლის, ყოფილი თავადი, მემამულე; აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრებული იყო; **აჩბა თაშუთ** თადას ძე, 66 წლის, ყოფილი თავადი, სოფ. ტყვარჩელის მცხოვრები, მემამულე. მისი უმცროსი შვილი აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის დახვრიტეს (Документы, 2021: 240-249). **ოჩამჩირე**: **ანჩაბაძე გიორგი** (გვეგვე) დავითის ძე, დაბ. 1902 წ. ოჩამჩირის მცხოვრები, მემამულე.

სამურზაყანოს მაზრაში:

საბერიოში აჯანყებას ხელმძღვანელობდა **ჩქოტუა მანუჩარ** ალექსანდრეს ძე, აჯანყებაში მონაწილეობისათვის დახვრიტეს. მისი ძმა, **ჩქოტუა ბიჭიკო** ალექსანდრეს ძე, ყოფილი აზნაური; **მარღანია იროდ** ალექსის ძე, ყოფილი თავადი; **შარვაშიძე გიდ** ზურაბის ძე, ყოფილი თავადი, 36 წლის; **რეფო-შეშელეთი: ზვანბაია ყარამან** ხასანის ძე, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1918-1921 წწ. მსახურობდა სამურზაყანოს მაზრის საგანგებო რაზმის მეთაურად; **ზვანბაია ყარამან** ბესლანის ძე, ყოფილი აზნაური, 1918-1921 წწ. მსახურობდა მილიციაში; **ცხირი**: **ლაკერბაია ანალენ** სასირყვას ძე, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მაზრის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე; აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე; **ჯობავა ლავრენტი** ლუკას ძე**,** დაბ. 1881 წ. მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი; **რეჩხო-ცხირი**: **ლაკერბაია თამშულ** სოსრანის ძე, დაბ. 1887 წ. ყოფილი აზნაური, მონაწილეობდა იატაკქვეშა მუშაობაში, აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე; **მარღანია ბაჯა** ჯანტას ძე, დაბ. 1884 წ. ყოფილი თავადი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, აჯანყებულთა რაზმს მეთაურობდა რეჩხო-ცხირში. მისმა რაზმმა დაიკავა სასოფლო საბჭო. დააპატიმრეს, მაგრამ ამნისტიით გათავისუფლდა; **დიხაზურგა**: **გვაგვალია არსენ** (რომანოზ) კუზუს ძე, დაბ. 1903 წ.; **ლეკუხონა**: **ჩქოტუა თარასხან**, ყოფილი თავადი; **ჩქოტუა მუშნი** ზისანის ძე, ყოფილი თავადი; **ბოკუჩავა კონსტანტინე** პეპუს ძე, დაბ. 1890 წელს; **ოქუმი**: **ბულისკერია ხაჩა** სტეფანეს ძე, დაბ. 1897 წ.; **ჩხორთოლი**: **ემუხვარი ყარამან** ტარასის ძე, ყოფილი თავადი, ეროვნულ-დემოკრა-

ტიული პარტიის წევრი; **ოტობაია**: **ანჩაბაძე ალექსანდრე**, 46 წლის, ყოფილი თავადი, მემამულე; **ანჩაბაძე პეტრე** კონსტანტინეს ძე, 56 წლის, ყოფილი თავადი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პარიტეტულ კომიტეტის წევრი, აგვისტოს აჯანყების მონაწილე; **გუდავა**: **მარღანია გრიშა** ჩაგუს ძე, ყოფილი აზნაური, ეროვნულ--დემოკრატიული პარტიის წევრი, პარიტეტული კომიტეტის წევრი, აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე; **ჭუბურხინჯი**: **ხონელიძე კონსტანტინე**, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი; დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერი; 1923 წლიდან აქტიურ მუშაობას ეწეოდა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად; მეთაურობდა აჯანყებულთა რაზმს საბერიოში; აჯანყების დამარცხების შემდეგ ქუთაისში გაიქცა, თუმცა გზაში დააპატიმრეს და აფხაზეთის ჩეკაში წარადგინეს. მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა შემდეგ ამნისტიით გათავისუფლდა. მისი ძმა, **ვანო ხონელიძე**, აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის დახვრიტეს; **აქირთავა ბაგრატ**, ყოფილი აზნაური, 1921 წლის თებერვალ-მარტში მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ ჭუბურხინჯში მოკლა ერთი წითელარმიელი; **ბედია**: **ემუხვარი ხოთო** ძაძაკოს ძე, ყოფილი თავადი. აჯანყებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს, მაგრამ გზიდან გაიქცა, შემდეგ ხელისუფლებას ჩაბარდა და ამნისტიით გათავისუფლდა; **დაბა გალი**: **მარღანია ძუკუ** ჩონჩორის ძე, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1918-1921 წწ. მსახურობდა მილიციაში (Документы, 2021: 256-262).

სამურზაყანოს მაზრაში აგვისტოს აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მასწავლებლები: **ზუხბაია თეიმურაზ** მათეს ძე, სოფ. ოქუმის მცხოვრები, 48 წლის, ღუმურიშის სკოლის მასწავლებელი; მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან, მაზრის პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელი. მას დავალებული ჰქონდა ოქუმსა და ღუმურიშში აჯანყების ხელმძღვანელობა; **ტორუა გიორგი** ჩაგუს ძე, დ. გალის მცხოვრები, 30 წლის, მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან, გალის სკოლის მასწავლებელი, სამაზრო პარიტეტული კომიტეტის მდივანი; **ქავთარაძე გრიგოლ** ანტონის ძე, დ. გალის მცხოვრები, მასწავლებელი, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი, მაზრის პარიტეტული კომიტეტის წევრი, აჯანყებაში მონა-

წილეობისათვის დააპატიმრეს, თუმცა ამნისტიით გათავისუფლდა; **ქეცბაია მოსე** პეტრეს ძე, დ. გალის მცხოვრები, 39 წლის, მენშევიკური პარტიის წევრი, გალის სკოლის მასწავლებელი; **ხორავა ბაგრატ** დათას ძე, დ. გალის მცხოვრები, 22 წლის, მასწავლებელი, ფედერალისტთა პარტიის წევრი (შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 12, ს. 290, ფურც. 62-65; Хорава, 2022: 109). აგვისტოს აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდა **ზარანდია თეოთე** ალექსის ძე, მენშევიკური პარტიის წევრი, სახალხო გვარდიის ყოფილი წევრი (შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 11, ს. 208, ფურც. 18; Хорава, 2022: 109).

ამრიგად, კოდორისა და სამურზაყანოს მაზრებში შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და შეიარაღებულ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ფედერალისტთა პარტიის წევრები, აჯანყების მოსამზადებლად შექმნილი იყო პარიტეტული კომიტეტი; აჯანყების მომზადებასა და შეიარაღებულ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ყოფილი თავადაზნაურები, ინტელიგენცია, გლეხები, ეთნიკური კუთვნილების მიხედვით – ქართველები და აფხაზები.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყება მთელი საქართველოს მასშტაბით სისხლში ჩაახშო. აჯანყების ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლება. სამურზაყანოსა და კოდორის მაზრებში გამოსვლები სუსტი იყო და ადგილობრივი მილიცია და კომუნარები ადვილად გაუმკლავდნენ მას. საბერიოს რაიონში სულ რაღაც ორი დღის განმავლობაში 204 აჯანყებული დააპატიმრეს. ცნობილია ასეთი ფაქტი: პატიმრები გალის საპყრობილეში ვერ დაეტია, ამიტომ სკოლაში მეცადინეობა შეწყვიტეს და სკოლის შენობა საპყრობილედ აქციეს. სამურზაყანოს მაზრის პოლიტბიუროს (საგანგებო კომისიის) ხელმძღვანელმა თეოფანე შარიამ გალის საპყრობილიდან 32 პატიმარი გამოიყვანა და დასახვრეტად წაიყვანა. მათგან ორი გზაში გაიქცა. თეოფანე შარია საპყრობილეში დაბრუნდა, ერთ-ერთი საკნის კარი გააღებინა და ვინც პირველი შეხვდა, გამოიყვანა და დახვრიტა (ზუხბაია, 2002: 109; ჯიქია, 2011ბ: 469). სადამსჯელო ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა სამურზაყანოს მაზრის პოლიტბიუროს მდივანი ტარას ანთია (ენდელაძე, 2003:125).

1924 წლის 15 და 17 სექტემბერს საგანგებო სამეულის სხდომა

გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნიკოლოზ ბახტაძე და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ერვანდ ასრიბეკოვი. სამეულმა აჯანყების მონაწილეთა ჯგუფი გაასამართლა და დახვრეტა მიუსაჯა. მათ შორის იყვნენ: **ბესარიონ გიორგის ძე აფრასიძე**, 35 წლის, გლეხი, უპარტიო; **მიხეილ იასონის ძე ასათიანი**, 30 წლის, გლეხი, უპარტიო; **ტარას თამშულის ძე ანჩაბაძე**, 20 წლის, ყოფილი აზნაური; **ერმალოზ ჩაგუს ძე ანჩაბაძე**, 26 წლის, ყოფილი აზნაური, უპარტიო; **ნაჰარ ძაკას ძე ხუნტუა**, 28 წლის, გლეხი, უპარტიო; **მაქსიმე სპირიდონის ძე კორსანტია**, 35 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **ნოჩო ნოეს ძე მიქელაძე**, 26 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი; **ვასილ გიორგის ძე ღურჯუა**, 42 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი; **გიორგი კონსტანტინეს ძე ცინცაძე**, 28 წლის, ინტელიგენტი, ეროვნულ-დემოკრატი; **კოწია (კოკო) დადეშქელიანი**, გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **სამსონ ჯანდილიანი**, გლეხი, სოციალ-დემოკრატი (ჯიქია, 2011ა: 372).

აჯანყების ჩახშობის შემდეგ. აჯანყების ჩახშობას სასტიკი რეპრესიები მოჰყვა. აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს ისინიც, ვინც შეიარაღებულ გამოსვლებამდე რამდენიმე თვით ადრე დააპატიმრეს, მათ შორის: ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფაღავა და სხვები, ასევე რუსეთის ციხეებში გამომწყვდეული 29 ქართველი პატიმარი (ენდელაძე, 2003: 128). საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ „1924 წლის აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის გამო დახვრეტილთა სიაში“ გვხვდება აფხაზეთის მკვიდრთა სახელებიც: **ეშბა თარასხან** დიმიტრის ძე, 37 წლის, სოფ. ბედია. იგი მეტეხის ციხეში იჯდა დაახლოებით ათი თვე (სცსა, ფ. 2117, ან. 1, ს. 98, ფურც. 127); **ანჩაბაძე მიხეილ,** 27 წლის, თავადი; **ჯუღელი ვალიკო,** 37 წლის, ინტელიგენტი, მენშევიკი; **ძიძიგური ევგენი** იოსების ძე, 30 წლის, სოფ. ილორი (Хорава, 2022: 109).

ჩეკა აქტიურად განაგრძობდა აჯანყებაში მონაწილე პირთა დადგენას, დაპატიმრებას და დასჯას. ჩეკამ ხელში ჩაიგდო და დახვრიტა აფხაზეთში აჯანყების მონაწილეები, მათ შორის: **მუშნი და ოთარ დადიანები, ასტამურ ინალ-იფა** და სხვ. (საბჭოთა, 2015: 185, 203). ეს უკანასკნელი ბათუმში დააპატიმრეს და დახვრიტეს. ასტამურ

ინალ-იფა სოფელ კალდახვარის მკვიდრი იყო, მემამულე, თამბაქოს მრეწველი. მისი მეუღლე იყო ქართველი მეცნიერისა და მეურნის, გიორგი ჩიჩუას ასული ნუცა. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრი 1909 წლიდან, დაარსებიდან (ქურდოვანიძე, 2008: 185, 201). ასტამურ ინალ-იფას ნეშტი თავად ხელისუფლების მიერ დევნილმა მეგობრებმა **გუჯუჯ მარღანიამ, დავით მხეიძემ** და **ვარლამ ჩიქოვანმა** დიდი საფრთხის მიუხედავად ოჩამჩირეში გადმოასვენეს და ოჯახს მისი მალულად დატირების საშუალება მისცეს (ქურდოვანიძე, 2008: 203).

ოთარ და მუშნი დადიანები აქტიურად მონაწილეობდნენ აგვისტოს აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა საშა გეგეჭკორმა შერიგების პირობით ძმები ტყიდან გამოიტყუა და დააპატიმრა სენაკის მაზრაში. მუშნი და ოთარ დადიანები თბილისში დახვრიტეს (კვიტაიშვილი, 2011: 61). დახვრეტილთა სიაში აღნიშნულია: **დადიანი ივანე**, ყოფილი თავადი, სისხლის სამართლის დანაშაულებათა ჩამდენი შეიარაღებული ბანდების ორგანიზატორი; **დადიანი ოთარ**, ყოფილი თავადი, სამეგრელოს სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი (სცსა, ფ. 2117, ან. 1, ს. 169, ფურც. 127).

სამურზაყანოს მაზრაში აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, ხელისუფლების ინსპირირებით, სოფლებში გლეხების კრებები იმართებოდა, რომლებზეც აყენებდნენ მოთხოვნებს აჯანყების მეთაურები და მონაწილეები დაეხვრიტათ ან სარწყავი არხების გასაყვანად გამოეყენებინათ. ერთ-ერთი ასეთი კრება სოფელ ჭუბურხინჯში გაიმართა (ბანდიტების..., 1924; ჯიქია, 2011ბ: 469).

1924 წლის მიწურულს, აფხაზეთის იუსტიციის სახკომი და პროკურორი ეგნატე ვარდანია სიამაყით და კმაყოფილებით აღნიშნავდა: 1921-1922 წლებში მიქელაძის, ღურჯუას, დადეშქელიანის ბანდები დაეხეტებოდნენ კოდორისა და სამურზაყანოს მაზრებში. თითქმის მთელი 1922 წელი ჩვენი მილიცია გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მათთან. მათი საბოლოო განადგურება 1923 წლის შუა ხანებში დასრულდა. ჩვენი მილიცია აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკური ავანტიურის ჩახშობაში (Вардания, 1924).

1924 წლის აგვისტო-სექტემბერში დახვრეტილთა ზუსტი რაოდე-

ნობა უცნობია. ოფიციალური მონაცემებით, აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის დახვრეტილ იქნა 857 ადამიანი, მათ შორის, 37 აფხაზეთში. თუმცა მათში არ ითვლება რამდენი ადამიანი შეეწირა ე. წ. „ანტითავადაზნაურულ კამპანიას“ და ცალკეულ პირთა „პირად დაინტერესებას“, რაც აჯანყების ჩახშობას მოჰყვა (ენდელაძე, 2003: 14). დახვრეტილთა შესახებ სხვა მონაცემებიც არსებობს. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე სერგო ორჯონიკიძემ დაასახელა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა რიცხვი – 980 ადამიანი (ნათმელაძე, დაუშვილი, 2004: 57). საარქივო მონაცემებით, თითქოს 832 ადამიანი დახვრიტეს, მათ შორის 44, სამღვდელოების წარმომადგენელი (საბჭოთა, 2015: 185, 203).

აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა ერთი ნაწილი სასტიკი რეპრესიების გამო იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო (ნათმელაძე, დაუშვილი, 2004: 57). მაგალითად, ემიგრაციაში წავიდა დავით მხეიძე, სამეგრელოსა და აფხაზეთში არალეგალური ორგანიზაციის წევრი, სამეგრელოში აჯანყების ერთ-ერთი მეთაური (ზალდასტანიშვილი, 1989: 29; ხუბულური 1991). ბევრსაც აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობა 1937 წელს გაუხსენეს. მაშინ სამსახურიდან გაათავისუფლეს პედაგოგები: **თეიმურაზ ზუხბაია, გიორგი ტორუა, გრიგოლ ქავთარაძე, მოსე ქეცბაია, ბაგრატ ხორავა**; ბევრს 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს, მაგალითად: **არსენ გვაგვალიას, ხაჩა ბულისკერიას, კონსტანტინე ბოკუჩავას**; ბევრიც დახვრიტეს, მათ შორის: **ანჩაბაძე გიორგი** (გვეგვე) დავითის ძე, **ზვანბაია ყარამან** ბესლანის ძე, **ლაკერბაია თამშუღ** სოსრანის ძე, **მარღანია ბაჯა** ჯანტას ძე და სხვ. (შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 12, ს. 290, ფურც. 62-65; Большой, 2017: 330, 349, 372).

აგვისტოს აჯანყებამ გამოავლინა ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია და ხელისუფლებამ მათი ლიკვიდაცია მოახდინა; კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საბაბით თითქმის სრულად განადგურდა თავადაზნაურობა, უკიდურესად გაძლიერდა ათეისტური კამპანია და ბევრი ეკლესია-მონასტერი დაიხურა (დაუშვილი, 2021: 56).

საბჭოთა ხელისუფლება თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ ძირითადი დარტყმა თავადაზნაურობამ მიიღო, როგორც კლასობრივმა მტერმა. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აფხაზეთში სოფელ ჯგერდის მკვიდრი,

45 წლის თავადი, პოლკოვნიკი **ნაჰარბეი ყაზილბაქის ძე მარშანია** იყო (შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 2038; საბჭოთა, 2015: 103); 1925 წლის 27-28 იანვრის ღამეს დახვრიტეს **პლატონ მიხეილის ძე მარშანია**, 29 წლის.

საბჭოთა ხელისუფლებამ 80 წელს მიტანებულ **ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძეს** (1860-1932), სოხუმის ქალაქისთავს 1911-1915, 1920 წლებში, სოხუმის ქალაქის სათათბიროს ყოფილ თავმჯდომარეს, 1917 წელს საოლქო საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარეს, 1924 წელს სოხუმში ცხოვრება აუკრძალა და იგი იძულებული გახდა სიცოცხლის ბოლო წლები ზუგდიდში, ნათესავებთან გაეტარებინა (ქურდოვანიძე, 2008 :129).

1929 წლის 18 აპრილს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება აფხაზეთიდან თავადებისა და აზნაურების გასახლების შესახებ. დადგენილება 24 ყოფილ თავად-აზნაურს შეეხო, რომელთაც აფხაზეთში ცხოვრება აეკრძალათ: **ალექსანდრე ანჩაბაძე** (ოტობაია), **გიდ შარვაშიძე** (საბერიო), **იროდ მარღანია** (დიხაზურგა), **ნიკოლოზ ზვანბაია** (რეფო-შეშელეთი), **გრიგოლ მარღანია** (გუდავა), **ყარამან ემუხვარი** (ჩხორთოლი), **ოთარ მერჭულე** (ილორი), **ომეხ ემუხვარი** (კვიტოული), **გრიგოლ ძიაფშ-იფა** (თხინა), **იპოლიტე ემუხვარი** (მერხეული), **გრიგოლ მარშანია**, **თენგიზ მარშანია** (კოდორი), **თარასხან ანჩაბაძე** (ფოქვეში), **ჯანსუღ ანჩაბაძე** (ტყვარჩელი), **მიხეილ მარღანია** (აძუბჟა), **ნაჰარბეი ანჩაბაძე** (აჭანდარა), **კონსტანტინე ანჩაბაძე** (სოხუმი), **ვლადიმერ მარღანია, მურზაყან ლაკერბაია, ვლადიმერ ლაკერბაია** (გუდაუთა), **ალექსანდრე ჩიჩბაია, დიმიტრი მარღანია** (ლიხნი), **რაზანბეი ინალ-იფა, ანდრია შენგელაია** (გაგრა) (შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 6, ს. 67, ფურც. 130-134; Хорава, 2022: 109).

გასახლებულ თავადაზნაურთა რიცხვში შედიოდნენ აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილეები.

ამდენად, **აფხაზეთის თავადაზნაურობა, რომელიც ქართულ სამყაროსთან ერთიანობას ინარჩუნებდა და რომელსაც ხალხი ენდობოდა და მიჰყვებოდა, 20-იან წლებში გაანადგურეს ან აფხაზეთიდან გაასახლეს. ამის შემდეგ, უპირობო გავლენით, ძირითადად, რუსეთის სასწავლებლებში განათლებამიღებული ინტელიგენცია და ბოლშევიკები სარგებლობდნენ; ამას დაერთო გარუსების პოლიტიკა. ყოველივე ამის შედეგად, აფხაზები თანდათან**

მოწყდნენ იმ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს, რომლითაც მათი წინა თაობები სულდგმულობდნენ.

ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას *თავადაზნაურული ამბოხება* და *მენშევიკური ავანტიურა* უწოდა. იმავდროულად, საბჭოთა ხელისუფლებამ დაარბია სამღვდელოება და დახურა ეკლესია მონასტრები – ოფიციალური ცნობით, 1923 წლის 12 მაისისთვის აფხაზეთში 10 ეკლესია დაიხურა, იმავე წლის ბოლოსთვის კიდევ 5 ეკლესია (საბჭოთა, 2015: 222-223). აჩიგვარა-ფუწყურის ეკლესიის მღვდელმონაზვნის იოაკიმე შენგელიას ცნობით, 1924 წელს ფუწყურის ეკლესიაში ღვთისმსახურება მცირე ხნით შეწყდა, 1930 წლის 18 აპრილს კი დაარბიეს და დახურეს (სცსა, ფ. 2100, ან. 1, ს. 120, ფურც. 1-2). 1930 წელს დაარბიეს და დახურეს ბედიის მონასტერი, გაგრის ეკლესია, სოხუმის საკათედრო ტაძარი და სხვ.

აჯანყების შეფასება. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების პირუთვნელი შეფასება იმავე წელს სცადა გერმანელმა გეოპოლიტიკოსმა, პროფესორმა **ერიხ ობსტმა** (1886-1981), რომელიც იმხანად სსრ კავშირში მოგზაურობდა და აგვისტო-სექტემბერში თბილისში იმყოფებოდა. თავის ნარკვევში „საქართველო – გეოპოლიტიკური გამოკვლევა“, იგი აღნიშნავდა, რომ აგვისტოს აჯანყება რუსული გეოპოლიტიკური ექსპანსიის მიზნებთან ქართული გეოპოლიტიკური ინტერესების შეუთავსებლობით იყო გამოწვეული. იგი სავსებით სწორ შეფასებას აძლევს აჯანყებას: „რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ 1924 წლის ზაფხულში მომხდარი აჯანყება იყო უმთავრესად ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, არა მარტო საბჭოური სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული“ (ობსტი, 2004: 152).

სავსებით ნათელია, რომ 1924 წლის აჯანყება საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. ნიშანდობლივია, რომ ამ ბრძოლაში ქართველების გვერდით აფხაზებიც იდგნენ. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1921 წლიდან მიმდინარე ბრძოლა და 1924 წლის აგვისტოს გამოსვლები საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნაწილია.

ბიბლიოგრაფია

სცსა ფ. 2100, ან. 1, ს. 120.
სცსა, ფ. 2117, ან. 1, ს. 169.
სცსა, ფ. 2117, ან. 1, ს. 98.
შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 2038.
შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 22254.
შსს არქივი, II, ფ. 6, ს. 23480.
შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 3, ს. 43.
შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 6, ს. 67.
შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 11, ს. 208.
შსს არქივი, II, ფ. 14, ან. 12, ს. 290.

ბანდიტების..., 1924 – ბანდიტების დაჭერა საბერიოს რაიონში (სამურზაყანო), გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 4 სექტემბერი, №201.

გიგაური, 1981 – გიგაური გ. მზე რუხის ციხეზე, ჟურნ. „დროშა“, 1981 წ. №9.

გრძელიძე, 1992 – გრძელიძე რ. 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1992.

გრძელიძე, 1998 – გრძელიძე რ. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბილისი, 1998.

დაუშვილი, 2021 – დაუშვილი ა., საქართველოს II რესპუბლიკა, თბილისი, 2021.

ენდელაძე, 2003 – ენდელაძე თ. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003.

ზალდასტანიშვილი, 1989 – ზალდასტანიშვილი ს. საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1989.

ზუხბაია, 2002 – ზუხბაია ვ. გალი, თბ., 2002.

თულნი, 2015 – თულნი, თბილისი, 2015.

კვიტაიშვილი, 2011 – კვიტაიშვილი ე. ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა; მუშნი დადიანი. წერილები, დღიურები, თბილისი, 2011.

კირთაძე, – კირთაძე ნ. კაენ, სად არის ძმა შენი?! : ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.), წ. 1, თბილისი, 1998.

კერესელიძე, 2012ა – კერესელიძე ლ. საქმე №170 – კონტრრევოლუციური აჯანყების მცდელობა კოდორის მაზრაში, საარქივო მოამბე, 2012, №13.

კერესელიძე, 2012ბ – კერესელიძე ლ. 1922 წლის მაისის თვე საქართველოში, საარქივო მოამბე, 2012, №13.

ლუკავა, 1975 – ლუკავა ი. განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები, გაზ. „კომუნიზმის დროშით“, 1975 წ. 18 მარტი.

მიქაია, 1985 – მიქაია კ. საგანგებო ხვედრი, გაზ. „მებრძოლი“, 1985 წ. 5 ნოემბერი.

მოამბე, 1921 – მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ტფილისი, 1921, №2.

მოამბე, 1922 – მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ტფილისი, 1922, №44.

ნათმელაძე, დაუშვილი, 2004 – ნათმელაძე მ., დაუშვილი ა. საქართველოს უახლესი ისტორია (1921-200 წწ.), თბილისი, 2004.

ობსტი, 2004 – ობსტი ე. საქართველო – გეოპოლიტიკური გამოკვლევა. გერმანულიდან თარგმნა ნოდარ მუშკუდიანმა, ჟურნ. „განთიადი“, 2004, №3-4.

საბჭოთა, 2015 – საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I, თბ., 2015.

სარალიძე, 2016 – სარალიძე ლ. ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, წიგნ.: საქართველო რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წ. II, თბილისი, 2016.

სარსევანიძე, 2008 – სარსევანიძე ქ. თარასხან ეშბას დაჯგუფება, „საარქივო მოამბე“, თბილისი, 2008, №2.

ქურდოვანიძე, 2008 – ქურდოვანიძე პ. ქართულ-აფხაზური ალბომი, თბილისი, 2008.

შველიძე, 2022 – შველიძე დ. პოლიტიკური პარტიები საქართველოში, თბ., 2022.

შონია, 1985 – შონია ს. რევოლუციის პანთეონიდან, მოგონების ფურცელი, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1985 წ. 21 ნოემბერი.

ხუბულური, 1991 – ხუბულური ლ. ვინ იყო დავით მხეიძე? გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 29 ივნისი.

ჯანელიძე, 1998 – ჯანელიძე ო. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება დოკუმენტებში, „კლიო“. საისტორიო ალმანახი, №2, თბილისი, 1998.

ჯიქია, 2011ა – ჯიქია ლ. ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყება აფხაზეთში (1921-1924 წწ.), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბილისი, 2011.

ჯიქია, 2011ბ – ჯიქია ლ. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011.

ჯუღელი, 1924 – ჯუღელი ვ. ღია წერილი ყველა ამხანაგებისა და და ყოფილ სახალხო გვარდიელებისადმი, გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 29 აგვისტო, №196.

Большой, 2017 – Большой террор в Абхазии (Абхазская АССР): 1937-1938 гг., т. 1, Тбилиси, 2017.

Борцы, 1981 – Борцы за Октябрь в Абхазии, Сухуми, 1981.

Вардания, 1924 – Вардания И. Революционная законность и милиция, «Голос Трудовой Абхазии», 14 декабрь, 1924, №280.

Документы, 2021 – Документы по истории Абхазии 1917-1931гг. Тбилиси, 2021.

Хорава, 2022 – Хорава Б. Из истории борьбы против советской власти в Абхазии (1921-1931 гг.), «Кавказ и Мир», Международный научный журнал, 2022, №26.

Bezhan Khorava

The Uprising of the year of 1924 in Abkhazia (Summary)

The armed uprising of August of the year of 1924 is one of the most significant and important events in the history of the struggle for the freedom and State independence of the Georgian people. The aim of the public uprising was the restoration of the independence. In spite of the failure, the uprising was the proof that, the Georgian people were not able to tolerate and adjust to the loss of the national Statehood and struggled for the independence without sparing themselves. In the struggle for the restoration of Georgia's State independence, Abkhazians also stood by the side of the Georgian people.

In February-March of the year of 1921, the Red Army of the Soviet Russia conquered Georgia and the Soviet government was established in Georgia. On March 4, units of the 9th Red Army entered Sukhumi. The struggle against the Russian occupation and the puppet Soviet government started in Georgia from the very first days. On March 5, the second day from the capture of Sokhumi by the Red Army, a large protest rally was held. A photo of this rally has survived, no other information is available yet. Despite the opposition of the new government, in 1921, May 26 – the Independence Day of Georgia – was widely celebrated throughout Georgia, including Abkhazia.

In 1922, an armed uprising was being prepared in Kodori district. Abkhazia's extraordinary commission arrested the members of the illegal organization, due to which the uprising could not be carried out. At the same time, the anti-Soviet armed groupings led by Taraskhan Eshba, Khuta Emukhvari, Evtikhi Sichinava, Kemshisha Janjghava, Ivane Chkotua, were active in Abkhazia. Those armed groupings were destroyed by the Government in the years of 1923-1924.

In 1922-1923, the illegal organization of the Social-Democratic Party operated in Abkhazia, which included Gerasime Gandelia, Davit Mkheidze, Vasil Gurjua, a member of the founding assembly of Georgia, and others. Since 1924, preparations for the armed uprising were actively underway in Georgia. Abkhazia was not left behind in this process either. Before the August uprising, the Committee of Independence of Georgia assigned military work in the Samurzakhano district to the military headquarters of Samegrelo, headed by Davit Mkheidze. According to the plan developed by the Damcom, after the successful organization

of the rebellion in Samegrelo, the local armed forces were supposed to occupy the district of Samurzakhano and then Sokhumi.

August 29 was set as the starting day of the uprising, but 24 hours earlier, on August 28, at 4 am, an armed demonstration began in Chiatura, which allowed the authorities to mobilize forces. The emergency commission dealt with the rebels before the general uprising started. On August 29, at dawn, as promised, an uprising began almost throughout Georgia, although the extraordinary commission was already active. In Abkhazia, the demonstrations took place in Samurzakhano and Kodori districts. On the night of August 29, rebels led by Konstantine Dadeshkeliani took power in Tsebelda district. Rebels took power in a number of villages of Kodori and Samurzakhano districts.

Unfortunately, it is not possible to restore the full picture of the August 1924 uprising in Abkhazia. It was possible to determine only a small part of the persons participating in the speeches. Members of the Social-Democratic Party, the National-Democratic Party, and the Federalist Party actively participated in the preparation of the armed uprising and the armed demonstrations in the Kodori and Samurzakhano districts. A parity committee was created to prepare the uprising; The former nobility, intelligentsia, peasants, Georgians and Abkhazians actively participated in the preparation of the uprising and armed battles.

The authorities took extraordinary measures to prevent the demonstrations. Militia and Communard detachments were mobilized. As a result of operative measures, the authorities suppressed the rebellion. Suppression of the rebellion was followed by the brutal repression. Those who were arrested a few months before the armed demonstrations were also shot on the charge of participating in the uprising. The Cheka (Soviet security agency) actively continued to identify, arrest and punish those who participated in the uprising.

After the suppression of the uprising, the Soviet government went on an active offensive against the church and the nobility. Churches and monasteries were raided and closed, a part of the nobility was deported from Abkhazia. Active participants of the August Uprising were among the evicted nobles. Later, in 1937, participation in the August Uprising was reminded to many of them.

The Abkhazian nobility, which maintained unity with the Georgian world and was trusted and followed by the people, was destroyed or expelled from Abkhazia in the 1920s. After that, the unconditional influence was mainly enjoyed by the intelligentsia educated in the Russian schools and the Bolsheviks; The politics of the Russianization were added to

this. As a result of all this, the Abkhazians gradually broke away from the cultural-historical traditions that their previous generations had followed.

It is quite clear that the uprising of 1924 is the most important event in the recent history of Georgia, which occupies a prominent place in the history of the struggle for the National independence of the Georgian people. It is significant that Abkhazians also stood next to Georgians in this battle. The struggle against the Soviet government in Abkhazia since 1921 and the speeches of August 1924 are part of the struggle for the national independence of Georgia.

ფოტო მასალა



ანტისაბჭოთა მიტინგი სოხუმში.
1921 წლის 5 მარტი

ნოე ხომერიკი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ნოე ჟორდანია, ვალიკო ჯუღელი, ნოე რამიშვილი.



1922 წლის 21 თებერვალს აფხაზეთში გავრცელებული მოწოდება.

ალექსანდრე შარვაშიძე და ასტამურ ინალ-იფა.

მუშნი დადიანი (დგას შუაში) და დავით მხეიძე (დგას მარჯვნიდან პირველი)

მუშნი დადიანი.

ოთარ დადიანი

გუჯუჯ მარღანია და მისი მეუღლე მარიამ ელიავა.



9 789941 509605